# საარბიელო

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 5 თებერვალი 2003 №17 (1788) | ფასი 50 თეთრი




ალექსანდრ შტელინს მალხაზ ასათიანი ისევ მიუვიდა, ივო შუშაკი კი კვლავაც უასათიანოდ დარჩა

# ახალი გამოცანა

## მიდის, მოდის, ადგილზე დგას...

## მალხაზ ასათიანი: ტრანსფერი თუ ტრანსი?



გუშინწინ მალხაზ ასათიანის „ტორპედოდან" „დინამოში" ტრანსფერს თითქმის აღარაფერი უკლდა, კლუბებმა თქვეს, უმნიშვნელო დეტალებიღა დაგვრჩა შესათანხმებელიო. თავად ფეხბურთელიც თბილისში გახლდათ.

მაგრამ გაჩნდა სხვა ცნობაც: ასათიანი მოსკოვის „ლოკომოტივს" სურსო. რუსთა პრეზიდენტმა ნიკოლაი ფილატოვმაც დაგვიდასტურა, რუსეთის საელჩოს ვთხოვეთ, ასათიანს სავიზო პრობლემები მოუგვარეთო. ერთი სიტყვით, ასათიანის ტრანსფერი თითქოს დღეების კი არა, საათების საქმე იყო, ოღონდ სად ყიდდნენ, ვერ გაიგებდით. ამან ინტრიგა გაამძაფრა და გუშინ ისტორიას საინტერესო გაგრძელება უნდა ჰქონოდა.

გუშინ ასათიანის თავგადასავალს გაგრძელებაც ჰქონდა და დასასრულიც, საინტერესოც იყო, მაგრამ ცოტა არ იყოს, უცნაურიც.

„დინამოში" ახალი ვერაფერი გვითხრეს, კვლავაც ქუთაისელთა საბოლოო პასუხს ელოდნენ. მოსკოვიდან კი უფრო ყურადსაღები ინფორმაცია მივიღეთ. რკინიგზელთა ტექნიკურმა დირექტორმა ბორის იგნატიევმა, რომლის რეკომენდაციაც იყო ასათიანის ყიდვა, გვითხრა, მის ჩამოსვლას რამდენიმე საათში ველოდებით, საღამოს კი გუნდთან ერთად გაფრინდება იტალიურ შეკრებაზეო. იგნატიევმა ისიც გვამცნო, მწვრთნელი იური სიომინი უკვე მილანშია და „მილანის" სახელით იტალიის საელჩოს ასათიანისთვის იქაური ვიზის სასწრაფოდ მიცემა სთხოვაო.

ამ დროისთვის თბილისიდან მოსკოვისკენ ერთადერთი რეისი იყო დარჩენილი — 15 საათზე, „აეროფლოტის" თვითმფრინავით.

ცხადია, იგნატიევისგან ამგვარი ინფორმაციის მიღების მერე ასათიანის კვალი აეროპორტში უნდა გვეძებნა.

— დიახ, მალხაზ ასათიანის სახელზე ბილეთი დაჯავშნული გვქონდა — გვითხრა „აეროფლოტის" წარმომადგენელმა — მაგრამ რეისამდე დაახლოებით ნახევარი საათით ადრე დაგვირეკეს და გაგვაუქმებინეს.

ავიაკომპანიის წარმომადგენელს მეტი, აბა, რა უნდა სცოდნოდა, ხოლო როცა თვითმფრინავი უკვე ჰაერში იყო, ასათიანი კი მასში არ იჯდა, „დინამო" „ტორპედოსგან" კვლავაც ელოდა პასუხს.

ამბის გასაგებად ისევ ბორის იგნატიევს დავურეკეთ. 18.30-ზე „ლოკომოტივი" იტალიაში მიფრინავს, ასათიანი არ ჩამოსულა და ველარ დაველოდებითო — ამაზე მეტი აღარც იგნატიევმა იცოდა.

არაფერი იცოდა „ტორპედოს" ერთ-ერთმა მწვრთნელმა სოსო ფრუიძემაც, ასათიანი რუსებს იტალიაში გაჰყვაო.

ის, რაც არ იცოდნენ მათ, ვისაც, წესით, რაღაც მაინც უნდა სცოდნოდათ, გუშინ საღამოს ბარე ნახევარმა ქუთაისმა იცოდა — მალხაზ ასათიანი ქუთაისში ნახეს, ქალაქშიც და საწვრთნელ ბაზაზეც. დღეს კი „ტორპედო" ანთალიაში შეკრებაზე გაემგზავრება.

ასათიანის ტრანსფერს ამ ჯერზე გახერხება არ ეწერა.

# ბრძოლა ძალიან დიდი ფულისთვის

## EUROგრანდები ფიფა-უეფას ჯიბეში ხელს უფათურებენ

G14

FIFA

ევროპის ბობოლა კლუბთა გაერთიანების, G 14-ის გუშინდელ, მადრიდულ სხდომაზე სანაკრებო ფეხბურთთან დამოკიდებულებასა და ევროთასების ფინანსურ მხარეებზე ისაუბრეს და რაკი G 14-ელებს ტყუილად ლაპარაკი არ უყვართ, მათი გადაწყვეტილებები ევროპული ფეხბურთის მომავალს განსაზღვრავს.

ბობოლათა სიტყვა ასეთია: ფიფა-უეფასთან ერთად თუ მათ გარეშე, ჩვენსას გავიტანთ.

ბობოლა კლუბების ფეხბურთელები უმნიშვნელო სანაკრებო მატჩებისთვის არ უნდა ცდებოდნენ, ევროშეჯიბრებებიდან მიღებულ შემოსავალთან კი უეფას არაფერი ესაქმება — აი, ამის გატანაზეა ლაპარაკი.

რეალობა? წარმოიდგინეთ, რომ ჩემპიონთა ლიგასა და ეროვნულ ჩემპიონატებში აღარ თამაშობენ „რეალი", „ბარსელონა", „მილანი", „იუვენტუსი", „მანჩესტერი", „არსენალი", „ბაიერნი" და მისთანა გუნდები. მაშინ უეფა უსასრულობამდე დაკნინდება, ხოლო თვალი იმ ტურნირისკენ გაგექცევათ, რომელსაც ეს გუნდები თავისთვის შექმნიან და უცხოს არ გაიკარებენ.

დღეს საკითხი ასე დგას: გრანდებს ფიფა-უეფა არ სჭირდებათ, ფიფა-უეფას სჭირდება გრანდები. თუმცა გრანდთა ნება-სურვილის საბოლოოდ გაბატონება დღევანდელი და ხვალინდელი ამბავი არ არის, ის ზეგის და მაზეგის საქმეა, ოღონდ უეჭველი საქმე.

იხილეთ მეცხრე გვერდი

ეროვნული ბიბლიოთეკა



REUTERS გლაზგოდან

ჰართსი — რეინჯერსი. გლაზგოელთა არგენტინელი კლაუდიო კანიჯა მეკარეს აერიდა



REUTERS ბირმინგემიდან

ბირმინგემი — მანჩესტერი. რაიან გიგზმა ბურთი ფეხზე „მიიწება“



REUTERS ლიდსიდან

ლიდსი — ჯილინგემი. ლიდსელი ლუკას რადებე ბურთს თავით წაეპოტინა



მონაკო — ლიონი. შაბანი ნონდას გრეგორი კუპემ ამჯერზე არ გაატანინა

## ინგლისი

**პრემიერლიგა**
**გადადებული მატჩი**
ბირმინგემი 0:1 მანჩესტერი

**პირველი დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
ბრაიტონი 2:3 უიმბლდონი

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
ჩელტენემი 3:1 ტრანმერი
ჰადერსფილდი 1:0 პლიმუთი
მენსფილდი 0:0 ბრენტფორდი
ნორთჰემპტონი 0:1 კარდიფი
ნოტსი 2:2 ქრიუ

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
კემბრიჯი 1:2 ბერი
კარლაილი 1:4 ლინკოლნი
კიდერმინსტერი 1:0 ბორნმუთი
ოქსფორდი 0:2 რექსემი
სუონსი 1:0 დარლინგტონი

**თასის IV ეტაპი**
**გადათამაშება**
*ლიდსი* 2:1 ჯილინგემი

## საფრანგეთი

**I დივიზიონი. XXVI ტური**
მონაკო 2:0 ლიონი

**II დივიზიონი. XXV ტური**
შატორუ 0:2 ლავალი
ბოვე 1:0 რეიმსი

## ჰოლანდია

**მეორე დივიზიონი**
**გადადებული მატჩები**
დორდრეხტი 0:2 მაასტრიხტი
სპარტა 1:0 ემენი
ვოლენდამი 2:2 ჰელმონდი

**თასის მერვედფინალი**
ტელსტარი 1:3 *ჰერენვენი*
გრააფსხაპი 2:3 *უტრეხტი*

## შოტლანდია

**მესამე დივიზიონი**
**გადადებული მატჩი**
ისტ სტირლინგი — მორტონი *გადაიდო*

**თასის III ეტაპი**
**გადათამაშება**
*დანფერმლაინი* 2:0 ლივინგსტონი
ჰამილტონი — ქუინზ პარკი *გადაიდო*
*სტ. ჯონსტონი* 1:1დ.დ. (პენ.4:2, 1:1) ერდრი
აბერდინი — ქუინი *გადაიდო*

**ლიგის თასი**
**ნახევარფინალი**
ჰართსი 0:1 *რეინჯერსი*

## გერმანია

**თასის მეოთხედფინალი**
*ბაიერნი* 8:0 კიოლნი

## ბელგია

**თასის 1/4ფინალი. საპასუხო მატჩი**
სენტ ტრუიდენი — ანდერლეხტი (0:1)
*დღეს გაიმართება*

# უკარ-მიდამო, უდონო, დარდიმანდი და დონორი

## ქირას მოსვლამდე საქართველო საფეხბურთო ევროკავშირის მიღმა რჩება

**ჩვენმა** ფეხბურთის ფედერაციამ ვაკეში ქართული ფეხბურთის სახლი კი წამოჭიმა, მაგრამ ამ სახლს საკუთარი ეზო არ გააჩნია.

ეზო, სადაც ბავშვები უნდა დაიზარდნონ და ბურთის სიყვარულს, მისი ფლობის საიდუმლოს უნდა ეზიარნონ.

ბავშვთა ფეხბურთს კარგა ხნის წინ გამოსტაცეს მოედნები და დღეს მართლაც უეზოოდ, უსტადიონებოდაა.

გახსოვთ, აგვისტოში, ფეხბურთის სახლის გახსნაზე საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ რა მოსწრებულად იხუმრა?

როგორც იქნა, ქართულ ფეხბურთს საკუთარი ჭერი გაუჩნდა, ახლა ტიტულებიღა გვაკლიაო.

არ გასულა ორიოდ საათი და ამ სახლის მესაძირკვლე და დამფინანსებელი ორგანიზაციის, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი, შევარდნაძეს ხუმრობაში გაეჯიბრა:

შვედს საფეხბურთო აკადემია „ოლიმპის" მშენებარე კომპლექსი რომ აჩვენეს, თქვა, ეს ყველაფერი კარგია და ახლა მსოფლიოს ჩემპიონობაღა გაკლიათო.

სერიოზულად კი იუჰანსონმა შევარდნაძეს უფასო რჩევა უფეშქაშა: მასპინძლის კითხვაზე, რა გავაკეთოთ, ქართული ფეხბურთი რომ განვითარდესო, სტუმარმა ასე უპასუხა, ბავშვთა ფეხბურთს მიხედეთო.

მას მერე, თბილისში კალო არ მოსწორებულა, შევარდნაძე რომ არ დაეპატიჟნათ, მობრძანდით, ბატონო, დაბრძანდით, დახეთ ბავშვთა ფეხბურთი როგორ წინ მიდის და ვითარდება, სოფელიც ნახეთ, როგორ აშენდესო!

ფეხბურთის განვითარებისთვის მართლაც აუცილებელია ბავშვთა ფეხბურთის განვითარება, რაც წარმოუდგენელია მცოდნე მწვრთნელების გარეშე.

სფფ მწვრთნელთა განათლებას ბოლოხანს გულისყურით ეკიდება, მაგრამ ჩანს, ეს საკმარისი არ არის, რადგან...

იუჰანსონის უეფამ, შევარდნაძის სფფ-ს ამასწინათ ბოლო გაფრთხილება მისცა.

თუმცა მანამდე, სფფ-მ ფეხბურთის განსავითარებლად უმთავრესი ღონისძიება, მწვრთნელთა განათლების მორიგი კურსები ჩაატარა.

დეკემბრის ბოლოს საქართველოს ბელგის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი და უეფას ქირა-კომისიაში ჩვენი ფედერაციის კურატორი სტუმრობდა.

ბელგიელმა მიშელ საბლონმა მაშინ „სარბიელს" ეს განუცხადა: „ჩემთვის ცნობილია პოსტსაბჭოური ქვეყნების პრობლემები, მაგრამ ბევრი მათგანი შესაძლოა გვიან მიხვდეს, რომ მატარებელმა გაასწრო. საქართველო ცდილობს ევროპულ მატარებელს არ ჩამორჩეს და თუ ფედერაცია სწორ ნაბიჯებს გადადგამს, 2003 წლისთვის კონვენციაში გაერთიანდება".

უეფას კონვენცია მწვრთნელთა კვალიფიკაციის ურთიერთაღიარების შესახებ უკვე მეექვსე წელია მოქმედებს და ევროპის მასშტაბით უკვე 147 ათასზე მეტ ლიცენზირებულ სპეციალისტს აერთიანებს, რომლებსაც ისევე თავისუფლად შეუძლიათ საზღვრების გადალახვა, როგორც ევროკავშირელ მოთამაშეებს.

საქართველომ საწყის, „ბ" დონეზე ჩართვის სურვილი გამოთქვა, მაგრამ...

ამ რამდენიმე დღის წინ კი უეფამ ერთხელაც განაცხადა, მატარებელი გადის და სავარაუდო მგზავრებს ბილეთის დროულად შეძენას ვთხოვთო. თანამგზავრთა შორის კი არც საქართველო და, თქვენ წარმოიდგინეთ, არც რუსეთი, სამაგიეროდ, უკრაინა და ესტონეთი მოიხსენია.

ჩანს, მიშელ საბლ[illegible] დელობა არასაკმარისად ჩათვალა და ისიც იმათ რიცხვს მიაკუთვნა, ვინც მატარებელს ჩამორჩა.

თბილისში ყოფნისას საბლონმა ესეც თქვა: „ის შრომა, რაც ბოლოხანს გაიოზ დარსაძემ გასწია, ადრე თუ გვიან, აუცილებლად დაფასდება. შესაძლოა, ეს 10 წლის შემდეგ მოხდეს, მაგრამ მთავარია, უნაყოფოდ არ ჩაიაროს".

საყურადღებოა, ადრე თუ გვიანო...

ფედერაციას საბლონის ნათქვამიდან სწორი დასკვნების გამოტანა მართებდა.

თავად ბელგიელი კი მგონი ყველაფერს კარგად მიხვდა:

სფფ მწვრთნელთა კურსებს „ლოკომოტივის" სტადიონის ნანათხოვარ და დამზრალ პრესკონფერენციო დარბაზში ატარებს, ქართული ფეხბურთის ახალ სახლში კი დასიცხული ჩინოვნიკები ხელებდაკაპიწებულნი შრომობენ.

სფფ ნაკრებისთვის ბაზას აშენებს, მაგრამ იქ, სადაც ეროვნული, ახალგაზრდული და ორიც ჭაბუკთა ნაკრები უნდა განთავსდეს, საეჭვოა დრო და ადგილი გამოინახოს მწვრთნელთა მოსამზადებელი კურსებისთვის.

სფფ-მ კურსებისთვის უცხოელ სპეციალისტებზეც იზრუნა: სხვადასხვა დროს მოიწვია იტალიელი ფრანკო ფერარი, ფრანგი ჟაკ დევიმი, ინგლისელი როჯერ სპრაი, მაგრამ დაავიწყდა, რომ კონტრაქტი ჯერ კიდევ დეკემბერში დაუმთავრდა გაიოზ დარსაძესთან და მის გაგრძელებას არ ჩქარობს.

ერთი სიტყვით, უეფა ვერ გარისკავს, კონვენციაში გაწევრიანების რეკომენდაცია მისცეს მას, ვისაც საამისო სურვილი კი აქვს, მაგრამ დარდიმანდობს და მზად არაა ყველაფერი გააკეთოს.

აპრილში, დათბება თუ არა, ზამთრის სიცივეში ნასწავლ მწვრთნელთა პრაქტიკული გამოცდები მოეწყობა, რომელსაც უეფადან ხელახლა მოვლენილი სტუმრებიც დაესწრებიან.

შესაძლოა, სწორედ ამ კომისიის დასკვნაზე იყოს დამოკიდებული, განიხილავს თუ არა ქირა-პროექტის საბჭო სფფ-ს კონვენციაში გაწევრიანების საკითხს მაისში.

სხვაგვარად ქართულ ფეხბურთს დიდი მომავალი არ აქვს. სხვაგვარად უეფა ქართველ მწვრთნელთა არცერთი დონის ლიცენზიას არ სცნობს, ლიცენზირებულ მწვრთნელთა გარეშე სულ მალე კლუბების ლიცენზირება და ევროსაგზურის მოპოვებაც წარმოუდგენელი იქნება. საუკეთესო შემთხვევაში, ქართული ფეხბურთი განწირულია ევროპული ფეხბურთის დონორობისთვის.

ლეგიონერთა რიცხვის გამრავლებას კი საუკეთესო შემთხვევას იმიტომ ვუწოდებთ, რომ სათანადო ცოდნის გარეშე ვერც ჩვენი მწვრთნელები შეძლებენ ისეთ მოთამაშეთა აღზრდას, ნებისმიერი ევროპული კლუბი რომ სიამოვნებით შეიმატებს.

სხვათა შორის, მწვრთნელთა განათლების პროექტი აწგანსვენებული ჩეხი დოქტორის ქირას სახელს ატარებს. ქირას კი ქართული ფეხბურთის უდიდესი წარმატება უკავშირდება. ის, ვისი იდეაც გახლდათ ევროპელ მწვრთნელთა განათლების ერთიან სისტემაში მოქცევა, 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში „დინამო" — „კარლ ცაისის" ფინალურ მატჩზე უეფას დელეგატი გახლდათ...

**ვახტანგ ბზიკაძე**




### ლიცენზირებულ მწვრთნელთა რაოდენობა ფედერაციების, დონეების და წლების მიხედვით

| ფედერაცია | „ა" დონე | „ბ" დონე | პრო დონე |
|---|---|---|---|
| დანია | 2 569 | 137 | 33 |
| საფრანგეთი | 15 000 | 2 500 | 200 |
| გერმანია | 48 290 | 3 619 | 843 |
| იტალია | 12 919 | 1 228 | 420 |
| ნიდერლანდი | 2 755 | 836 | 77 |
| ესპანეთი | 4 720 | 10 907 | 1 918 |
| ავსტრია | 1 582 | 1 110 | 7 |
| შვეიცარია | 6 431 | 1 137 | 16 |
| ინგლისი | 1 430 | 397 | ... |
| ფინეთი | 1 810 | 551 | 157 |
| ლუქსემბურგი | 30 | 248 | |
| ბელგია | 6 537 | 1 734 | 25 |
| ჩეხეთი | 52 | 31 | 44 |
| შვედეთი | 5 878 | 2 188 | 22 |
| უელსი | 96 | 61 | 0 |
| შოტლანდია | 212 | 51 | 42 |

| ფედერაცია | „ა" დონე | „ბ" დონე | პრო დონე |
|---|---|---|---|
| სლოვენია | 260 | 192 | ... |
| რუმინეთი | 293 | 223 | |
| ბოსნია | 132 | ... | |
| უნგრეთი | 1 100 | 102 | ... |
| მალტა | 54 | 6 | |
| ბულგარეთი | 525 | 124 | 15 |
| ნორვეგია | 2 726 | 373 | 16 |
| ხორვატია | 0 | 0 | |
| კვიპროსი | 0 | ... | |
| პოლონეთი | ... | ... | ... |
| ირლანდია | 500 | ... | |
| ფარერე-ბი | ... | | |
| მაკედონია | ... | | |
| ჩრდ. ირლანდია | ... | ... | |
| ესტონეთი | ... | | |
| უკრაინა | ... | ... | |

განევრიანების წელი: 1998 | 1999 | 2000 | 2001 | 2002 | 200?

# წვიმის კაცები

## ბრძოლა და ჩხუბი მეჩგორიეში

**ბოსნიაში,** მეჩგორიეში შეკრებაზე მყოფმა თბილისის „დინამომ" პირველი საკონტროლო მატჩი ითამაშა — შუშაკელები შუშაკის ადრე გაწვრთნილ „მარიბორს" შეხვდნენ და მატჩი ფრედ დასრულდა — 1:1.

„დინამო" 39-ე წუთზე დაწინაურდა — ვიტალი დარასელიამ კუთხური ჩააწოდა და ალეკო ამისულაშვილმა ფეხით გაუტანა სლოვენიელებს.

„მარიბორმა" 70-ზე გაათანაბრა — მარჯვენა ფლანგზე რეზიჩმა დიაგონალური პასი მიიღო და დავით გვარამაძის კარის შორეული ცხრიანი დალაშქრა.

მატჩი თავსხმა წვიმასა და ძლიერ ქარში მიმდინარეობდა. შედეგად, შეხვედრა ძირითადად ორთაბრძოლებით გამოირჩა — მოედნის ყოველ მონაკვეთზე ცხარე ბრძოლა იყო, გვითხრა „დინამოს" პრესატაშე ლევან სალუქვაძემ.

„დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: *ზოიძე (გვარამაძე 46); ვაშაკიძე, შაშიაშვილი, ამისულაშვილი; კარლოსი, სახვაძე (კვირკველია 70), გოგობერიშვილი, ბურდული; ანჩაბაძე (ახალაია 62), დარასელია (ხიზანეიშვილი 74), ალექსიძე.*

მატჩის დაძაბულობაზე და ქიშიანობაზე ისიც მიანიშნებს, რომ დინამოელები ოთხჯერ გააფრთხილეს — დარასელია (7), სახვაძე (35), ანჩაბაძე (52), გოგობერიშვილი (79), ხოლო რატი ალექსიძე 52-ე წუთზე გააძევეს — „დინამო" კუთხურს აწვდიდა და „მარიბორის" ერთ-ერთმა მცველმა ალექსიძეს იდაყვი ჩაარტყა, რასაც შელაპარაკება მოჰყვა და გაწევ-გამოწევაში ორივე გუნდის ფეხბურთელები ჩაებნენ — მათი დაშოშმინების შემდეგ არბიტრმა ალექსიძეს წითელი აუფრიალა, ანჩაბაძეს კი ყვითელი.

*ივო შუშაკი:* „სერიოზული მეტოქე გვყავდა, სლოვენიის ექვსგზის ჩემპიონი. ამ ქვეყანაში კი ფეხბურთი საკმაოდ მაღალ დონეზეა, რასაც ისიც მოწმობს, რომ სლოვენიის ეროვნული ნაკრები ბოლო ევროპის ჩემპიონატზეც მონაწილეობდა და მუნდიალზეც. მოხარული ვარ იმით, რომ ეს მატჩი თავისი დაძაბულობითა და დრამატიზმით ოფიციალურს უფრო წააგავდა, ვიდრე ამხანაგურს. ყველა ჩემი ფეხბურთელით კმაყოფილი ვარ. მატჩის შედეგზე გული კი მწყდება, მაგრამ თითქმის მთელი მეორე ტაიმი ჩვენ ხომ ათი კაცით ვითამაშეთ".

**დავით თამართჭილაძე**



დინამოელთა ერთადერთი გოლი ალექსანდრე ამისულაშვილისა იყო



# ცაკარიასი ნანას ფეხს ითხოვს

— მე ნანასგან გავაკეთებ!.. დაუქადნია გუშინ „ლოკომოტივის" პერუელ თავკაცს ლუის ცაკარიასს. რკინიგზელთა დამრიგებელი განელი შავი კაცის თამაშით ერთობ კმაყოფილი დარჩენილა და ახლა კლუბს, ალბათ, ნანას გადაბირებასაც მოსთხოვს.

განელის ბედს „ლოკომოტივში" გასინჯვაზე მყოფი ბულგარელი ზდრავკოვიც ინატრებდა, მაგრამ ცაკარიასს მის სამსახურზე უარი უთქვამს და დაუთხოვია. ზდრავკოვი ანთალიიდან გუშინვე აბარგებულა.

სავარაუდოდ ბულგარელის ბედს გაიზიარებს პორტუგალიელი მარკო ლაგარტოც, რომელიც რკინიგზელებმა საქმეში გუშინ იხილეს. ლაგარტოს თავი თითქოს არ შეურცხვენია, გოლიც გაიტანა, მაგრამ ცაკარიასს პორტუგალიელი თვალში არ მოსდისო.

პერუელს ფორვარდი ძოძუაშვილი და უკანახაზელი კაკაშვილიც შეუქია. გასამხნევებელი სიტყვები არც კობახიძეს და მუშკუდიანს დააკლო თურმე და საერთოდ, მწვრთნელი რკინიგზელთა მონდომებით და მზადყოფნით კმაყოფილიაო, გვითხრა კლუბის პრესსამსახურის უფროსმა ნუგზარ ჯულელმა.

გუშინ კი თავისი სამარქაფოები ცაკარიასს რუსული „კრილიას" სათადარიგოებისთვის გაუჯიბრებია. „ლოკომოტივის" ძირითად შემადგენლობას კი სამჯერ უვარჯიშია.

გუშინდელ მატჩში პირობითი მასპინძელი რკინიგზელები ყოფილან. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თამაშის განსასჯელად არბიტრი ქართველებს უნდა მოეყვანათ.

ზედმეტ ხარჯებს მოერიდნენ თუ რა იყო, ვერ გეტყვით, მაგრამ თამაშზე უმსაჯოდ მისულან ქართველები. სხვა გზა რომ არსად იყო, სასტვენი „კრილიას" თავკაცის, ტარხანოვის ვაჟს აუღია და მეტოქეებს მოედანზე გაძღოლია. თანამსაჯებად, ერთ მხარეს რუსული გუნდის წარმომადგენელი დამდგარა, საპირისპიროდ კი „ლოკომოტივის" ადმინისტრატორ თემურ ჭკადუას სჭერია ალამი.

ნამატჩევს თურმე რკინიგზელები ჭკადუას ანამუსებდნენ — როგორი ლოკომოტიველი შენ ხარ, რამდენიმე საგოლე მომენტი ჩაგვიშალე, თამაშგარეებს უსამართლოდ აფიქსირებდიო. ადმინისტრატორს მათი ნათქვამი ყურადაც არ უღია, მე ობიექტური ვიყავიო.

თამაში კი ფრედ 2:2 დამთავრებულა. „ლოკომოტივის" გოლები ძოძუაშვილის და ლაგარტოს ანგარიშზეა. „კრილიას" მეორე ტაიმში გაუთანაბრებია. ჯერ რკინიგზელთა უკანა ხაზის შეცდომით უსარგებლია მეტოქეს, მერე კი პენალტი დაუნიშნავს ტარხანოვის ძეს.

ცაკარიასმა კი გუშინდელ მატჩში ესენი ათამაშა:

*ივარდავა, ბალაშვილი, კაკაშვილი, მორჩილაძე (ჯღარკავა), გილაური, გოგინაშვილი (ვლასოვი), ლაგარტო, ლაცაბიძე (ძოძუაშვილი, მუშკუდიანი), რუსია, ნანა (კობახიძე), ხოსელია.*

**მამუკა ძვანტალიანი**

# გოლი და პენალტი აფხაზავასგან

თურქეთში შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ" გუშინ პირველი საკონტროლო მატჩი ჩაატარა კიევის „არსენალთან" და სამი უპასუხო გოლით დამარცხდა.

ჩვენებურების ცოდვა უპირველესად კიეველთა ქართველი ლეგიონერის შალვა აფხაზავას კისერზეა. შალვამ ვეტერინარებს ერთი გოლი თავად გაუტანა, მეორეც მისი წაქცევისთვის დანიშნული პენალტიდან მიითვალა „არსენალმა", რასაც ცოტა ხანში მესამეც მოჰყოლია.

„არსენალი" თურქეთში კვირაზე მეტია ემზადება, ვიტელებმა კი სამდღიანი წვრთნის შემდეგ შედგეს მოედანზე ფეხი და ალბათ, ამიტომაც ვერ გაუწიეს მეტოქეს შესაფერისი სპარინგ-პარტნიორობა.

ერთიცაა, მატჩის მსვლელობისას მსაჯს მოედნიდან ორი ვიტელი დუთხოვია, რასაც „არსენალის" დონის გუნდი, რა თქმა უნდა, სათავისოდ გამოიყენებდა.

მომდევნო მატჩს „ვიტ ჯორჯია" 8 თებერვალს ითამაშებს.

**მამუკა ძვანტალიანი**


# სარბიელი

## სამუშაოდ იწვევს

### გაზეთში ნამუშევარ დამკაბადონებელს მიიღება მოხდება შერჩევით

მსურველებმა მოგვაკითხეთ „სარბიელის" რედაქციაში, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული, 15-დან 18 საათამდე.

(ორშაბათის და პარასკევის გარდა)

ცნობებისთვის დარეკეთ 39-48-29, 38-11-14


# ბოლნისი ქვემო ქართლიდან მიდის

## ფედერაცია უეფას ეურჩება

*ბოლნისის „სიონის" ხელმძღვანელებმა ორშაბათს ფედერაციაში საჩივარი წარადგინეს. ქვემოქართლელები თავისსავე რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტ ლაშა მინდელს უჩივიან.*

**საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონის" განცხადება**

საფეხბურთო კლუბ ბოლნისის „სიონის" დირექცია გაცნობებთ, რომ მე-14 ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შემდეგ V ადგილზე ვიმყოფებით და ერთ-ერთი ევროსაგზურის მოპოვება გვსურს.

ბოლნისის „სიონი", რომელიც ტერიტორიულად ქვემო ქართლში მდებარეობს, 1995 წლიდან თამაშობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში. ჩვენ კურირებას უნდა გვიწევდეს ქვემო ქართლის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაცია (თავმჯდომარე ლაშა მინდელი), ფედერაცია, რომელიც მარტო ქაღალდზე არსებობს.

სფფ-ის ყრილობის წინ გვიწევს ზემოთ აღნიშნული სიტყვებით შევაფასოთ ქვემო ქართლის სამხარეო ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობა (უმოქმედობა), რადგან 5 წლის მანძილზე მისგან ჩვენ და ალბათ ქვემო ქართლის არც ერთ რაიონს არ მიუღია არც ერთი სარეკომენდაციო წერილი, რაიმე შეჯიბრის ან ტურნირის დებულება. ფაქტობრივად, ქვემო ქართლის სამხარეო ფეხბურთის ფედერაცია მართლაც ქაღალდზე არსებობს, რადგან მას არ ჩაუტარებია არც ერთი სხდომა და არც ერთი შეკრება რეგიონში გაერთიანებული საფეხბურთო კლუბებისთვის. მთელი თავისი „მოღვაწეობის" მანძილზე რეგიონალურ ფედერაციას არ გაუწევია არავითარი დახმარება უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებში მონაწილე კლუბებისთვის.

ამიტომ, ვფიქრობთ, რომ ქვემო ქართლის რეგიონალური ფედერაცია არცხვენს პირველ რიგში სფფ-ს და ძირს უთხრის ქართულ ფეხბურთს. ის თავისი უმოქმედობით ფაქტობრივად იგნორირებას უკეთებს სფფ-ის აღმასკომის დადგენილებას. ამის აშკარა დადასტურებაა ის ფაქტიც, რომ მას სფფ-ის აღმასკომის 11 დეკემბრის №44 დადგენილების შესაბამისად, რეგიონის უმაღლესი და პირველი ლიგის კლუბებიდან უნდა წარედგინა სფფ-ის ყრილობის და აღმასკომის წევრობის კანდიდატები. მიუხედავად ჩვენი წერილისა, მოლაპარაკებებისა და სატელეფონო საუბრისა, ქვემო ქართლის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა მხოლოდ თავისი კანდიდატურა წარადგინა სფფ-ში.

აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ ქვემო ქართლში არ არსებობს არავითარი რეგიონალური ფედერაცია და ვთხოვთ სფფ-ს მის გაუქმებას ან მინდელის თანამდებობაზე მცოდნე, პასუხისმგებელი და ფეხბურთში ჩახედული პიროვნების არჩევას.

ჩვენ ქვემო ქართლის რეგიონალური ფედერაციიდან გამოსვლასაც ვაპირებთ, მაგრამ როგორ გამოვიდეთ, როცა მის არჩევნებშიც არ მიგვიღია მონაწილეობა.

ასეთია ბოლნისელთა საჩივარი.

დებულებით „სიონის" მოთხოვნა სამართლიანია, რადგან ქვემო ქართლის რეგიონალური ფედერაცია აღმასკომის წევრობის კანდიდატების წარდგენისას შეზღუდული არ ყოფილა. მინდელს ხუთი, თუნდაც ათი კანდიდატურის შერჩევაც შეეძლო საალმასკომოდ, მერე კი ამათგან ერთს ან რამდენიმეს (თეორიულად ათივეს) მოიწონებდნენ ყრილობის დელეგატები.

ბოლნისელთა მოსაზრებით, მინდელის ნაბიჯი პირად ამბიციებზეა გათვლილი, ვინაიდან საალმასკომო 17 ადგილიდან 15-ზეა ვაკანსია. მომავალ 17-წევრიან აღმასკომში მხოლოდ სფფ-ის პრეზიდენტს და გენერალურ მდივანს აქვს ადგილი დაჯავშნული. მხოლოდ თავისი კანდიდატურის წარდგენით კი მინდელს 14 თებერვლის ყრილობაზე აღმასკომის წევრობის მეტი შანსი ექნებოდა.

ბოლნისელთა საჩივარზე გუშინ მოკლე კომენტარი გააკეთა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა *ვალერი ჩოლარიამ*:

— საჩივარს განვიხილავთ და რეაგირების გარეშე არ დავტოვებთ. კანდიდატებზე ლიმიტი არ არსებობს და თუ „სიონმა" თხოვნით მიმართა ქვემო ქართლის ფეხბურთის ფედერაციას, მინდელი წინააღმდეგი არ უნდა ყოფილიყო. რამდენიმე დღეში დაპირისპირებულ მხარეებს დაველაპარაკები და პრობლემას მოვაგვარებთ. რაც შეეხება მინდელის პასუხისმგებლობის საკითხს, სფფ ქვემო ქართლის რეგიონული ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში ჩარევას არ აპირებს.

გუშინვე *ლაშა მინდელსაც* დავუკავშირდით, რომელიც მერვე წელია, ქვემო ქართლის ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციას თავკაცობს.

— ბოლნისელთა პროტესტი აბსურდულია. მათ დადგენილ ვადაში — 24 იანვრამდე უნდა დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, რადგან 25 იანვარს სფფ-ში აღმასკომის წევრობის კანდიდატთა წარდგენის ბოლო ვადა იწურებოდა. „სიონიდან" მხოლოდ 28 იანვარს დამიკავშირდნენ, ტელეფონით ვესაუბრე გუნდის ტექნიკურ დირექტორს. მე მას ავუხსენი, რომ ქვემო ქართლის რეგიონული ფედერაციის საანგარიშო კრება უკვე ჩატარდა. ამ კრებაზე აღმასკომის წევრობის კანდიდატად მხოლოდ მე დამამტკიცეს. ბოლნისელებმა დაიგვიანეს, თორემ რა პრობლემა იყო, მათი კლუბის წარმომადგენელსაც შევიყვანდი კანდიდატთა სიაში. თუ ფედერაციის დირექტივა იქნება, მოვიწვევთ კიდევ კრებას და გავითვალისწინებთ ბოლნისელთა პოზიციას. სხვა შემთხვევაში მე არაფრის შეცვლა არ შემიძლია.

ასეთია მინდელის განცხადება, რომელსაც მკვეთრად უპირისპირდება „სიონის" ტექნიკური დირექტორი *პეტრე დანელია*.

— მინდელს 22 იანვარს დავურეკე, ჩვენი მოთხოვნა გავაცანი. მითხრა, ოფიციალური წერილი გამოგვიგზავნეთ და თქვენს კანდიდატურასაც წარვადგენთ სფფ-შიო. წერილი იმ დღესვე გავგზავნე ქვემო ქართლის ფეხბურთის რეგიონულ ფედერაციაში. 24 იანვარს სფფ-ში მისულს, ქვემო ქართლიდან მხოლოდ მინდელის კანდიდატურა დამხვდა წარდგენილი.

პეტრე დანელიას ნათქვამის სისწორეში ეჭვს ვერ შევიტანთ, რადგან „სიონის" წინდახედულმა ტექნიკურმა დირექტორმა ფედერაციაში 22 იანვარს მინდელის სახელზე გაგზავნილი წერილის ასლიც წარადგინა.



ლაშა მინდელი

მოკლედ, ჯერი სფფ-ზეა, ფედერაციაში პრეზიდენტის დაბრუნებას უცდიან და, სავარაუდოდ, ბოლნისელთა კანონიერ მოთხოვნას ანგარიშსაც გაუწევენ, მით უფრო, რომ „ფედერაციასთან კონსულტაციების" წინააღმდეგი არც მინდელია.

აქვე ისიც ვთქვათ, რომ სფფ ამის გარეშეც საყრილობო გაწამაწიაშია. რამდენიმე დღის წინ ფედერაციაში უეფას ნაციონალური ასოციაციების ხელმძღვანელ ვინსენ მონიეს ფაქსი მივიდა. უეფამ სფფ-ის მიერ შემუშავებულ ახალ დებულებას 6 შენიშვნა დაურთო, შენიშვნები ძირითადად დებულების რედაქტირებას უკავშირდება, მაგრამ არის ერთი პუნქტი, რომელშიც უეფა და სფფ ვერ თანხმდებიან. ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანო არჩევნების 50 პროცენტს პლუს 1 სისტემით გამართვას ითხოვს, საქართველოს კანონმდებლობა კი სფფ-ს არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობის პრინციპით ჩატარებას ავალდებულებს.

უეფას მორჩილი სფფ-ის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია ამ შემთხვევაში ქართული კანონმდებლობისკენ იხრება — ამ პუნქტში უეფას მოსაზრებას ვერ გავითვალისწინებთო. კომპენსაციის მიზნით სფფ-მ უპრობლემოდ გაიზიარა უეფას კიდევ ერთი რეკომენდაცია — ამიერიდან ყრილობაზე სააპელაციო და სადისციპლინო კომიტეტების უკლებლივ ყველა წევრს დაამტკიცებენ. აქამდე მხოლოდ საპელაციო და სადისციპლინო კომიტეტების თავმჯდომარეებს ირჩევდნენ ყრილობის დელეგატები.

**ბაატა ძვანტალიანი**






ამ წიხლაობისთვის სტივენ ჯერარდს სამმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჭიდეს. „სასამართლოზე“ მას ვერც „ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ უშველა





# COME ON!

## ახლა ტერის დღეა, მტერი ნაპოვნია

## სრულიად იორკშირმა გეზი იცვალა

**ტერი ვენეიბლზმა** „ლიდსი“ შვიდი თვის წინ ჩაიბარა, მაგრამ მისი წინამორბედის დევიდ ოლირისგან განსხვავებით ღირებულს ჯერაც ვერაფერს მიაღწია — პრემიერლიგაში იორკშირელები მე-13 ადგილს ჩაჭიდებულან.

ამ რამდენიმე დღის წინ კი ვენეიბლზსა და კლუბის თავმჯდომარე პიტერ რიდსდეილს კარგა ცხარედ უკამათიათ. უმსხვილესი ბრიტანული ტაბლოიდი „სანი“ იმასაც კი სწერს, მენეჯერმა და მოხელემ დიდი ბრძოლა გადაიტანესო — მიზეზი „ლიდსის“ ფეხბურთელების გასხვისება გახლდათ.

ძველი ამბავი არაა, რომ იორკშირელებმა მცველი ჯონათან ვუდგეიტი 9 მილიონ გირვანქად მიჰყიდეს „ნიუკასლს“, ხოლო ფორვარდი რობი ფაულერი 6 მილიონად დაუთმეს „მანჩესტერ სიტის“.

ახლა ისიც დავთვალოთ, თუ ვენეიბლზის 7 თვიანი მენეჯერობისას რამდენი ფული იშოვა „ლიდსმა“ მოთამაშეების გაყიდვით — ვუდგეიტის, ფაულერის, ლი ბოიერის, ოლივიე დაკურის, რობი კინისა და რიო ფერდინანდის გასხვისებით იორკშირელებმა 52 მილიონი გირვანქით იხეირეს.

არადა, როცა „ლიდსი“ კონტრაქტს აფორმებდა ვენეიბლზთან, მაშინ სხვანაირად ჭიკჭიკებდა — კლუბის ვალი 77 მილიონია და ფეხბურთელების გაყიდვით მხოლოდ ამ ვალისთვის 15 მილიონის ჩამოჭრას ვაპირებთო.

აი, ეს გახლდათ მწვრთნელისა და თავმჯდომარის დატაკების საბაბი.

60 წლის ვენეიბლზს ამის გამო სულაც გუნდის მიტოვება სურდა, მაგრამ „სანს“ განუცხადა, ახლა რომ წავიდე, კლუბის საქმეები უკან წავაო.

„სამუშაო გვაქვს ჩასატარებელი. პასუხისმგებლობა ყველას გვაკისრია და კაცურად უნდა მოვიქცეთ. სათქმელი მეც ვთქვი, კლუბმაც და ფანებმაც. მაგრამ ახლა წინ უნდა გავიხედოთ და ყველაფერი გავაკეთოთ გუნდისთვის. ძლიერნი უნდა ვიყოთ“ — უთქვამს ვენეიბლზს, რომელსაც ინგლისის ეროვნული ნაკრებიც კი გაუწვრთნია.

ვენეიბლზმა თავის გადაწყვეტილებით, ურჩიობითა და ენამჭევრობით: „ლიდსის“ ფანებს გული მოულბო და დაუთუთქა — ის ახლა გმირია იმათთვის, რომლებიც სულ ცოტა ხნის წინ მის ჩაწიხლვას ლამობდენ.

ორი თვის წინ იყო, უეფას თასიდან „ლიდსი“ ესპანურმა „მალაგამ“ რომ გააგდო და ერთ-ერთი იორკშირელი ფანი ტრიბუნიდან გადახტა ვენეიბლზის გასალახად, მაგრამ დღეს ვენეიბლზის დღეა — ხალხის ნომერ პირველი მტერი რიდსდეილი შეიქნა.

„ერცერთ მწვრთნელს არ სურს გულშემატკივრების მომდურება. შემოდგომაზე ზოგიერთი მათგანის ქმედებისგან გაწბილებული კი გახლდით, მაგრამ ახლა დიდად ვაფასებ მათ მხარდაჭერას. ეს იგივეა, ვიღაცამ შენზე რომ თქვას, „მოდი მას შანსი მივცეთ“, ან უეცრად შემოგძახოს „COME ON“ — დასძინა ვენეიბლზმა.

ჰოდა, შემოტრიალდა ვექტორი კლუბში — სადაცაა 22 წლის ფორვარდი ალან სმიტი ახალ კონტრაქტს გააფორმებს კლუბთან და კვირეული ჯამაგირი 40 000 გირვანქა გაუხდება.

უახლოეს ხანში „ლიდსი“ კიდევ ორ წამყვან ფეხბურთელთან აპირებს ხელშეკრულების გაგრძელებას — ავსტრალიელ შემტევ ჰარი კიუელთან და მცველ დენი მილსთან.

**დავით თავართქილაძე**



ტერი ვენეიბლზი და პიტერ რიდსდეილი




# ფიცი გვწამს, ფირი გვაკვირვებსო

## ჯერარდს სამი მატჩი დაუქვითეს

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციამ ქვეყნის ნაკრებისა და „ლივერპულის“ ნახევარმცველი სტივენ ჯერარდი სამთამაშიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი: დეკემბერში ჯერარდი ორივე ფეხით ჩაუხტა „ევერტონის“ გარი ნეისმიტს. ის თამაში 0:0 დასრულდა, მაგრამ ეს აღარავის ახსოვს, მთელი ამ ხნის განმავლობაში ყველა ჯერარდის უხეშობაზე ლაპარაკობდა, თავად ფეხბურთელი კი იფიცებოდა, რომ რაც მოხდა ტექნიკური წუნი იყო და მას შოტლანდიელი მცველის დაშავება გულშიც არ გაუვლია.

და მაინც, ორშაბათს „ბოლტონის“ „რიბოკ სტედიუმზე“ დანიშნულმა თაიპირმა ჯერარდი დამნაშავედ სცნო. აქვე დავძინოთ, რომ სადისციპლინო კომისიამ ლივერპულელი იმით დაინდო, რომ სამთამაშიან დისკვალიფიკაციას ფულადი ჯარიმა არ დაამატა.

სამწუხარო კი ის გახლავთ, რომ ჯერარდი, რომელიც სეზონის დასაწყისში ცუდად თამაშობდა, ბოლოხანს ნინებულ ფორმაში იყო და ახლა თამაშების გამოტოვებამ, შესაძლოა, ცუდი სამსახური გაუწიოს. ამას დავძინოთ ისიც, რომ 12 თებერვალს ინგლისის ნაკრები ავსტრალიის ნაკრებს უნდა შეხვდეს. ეს მატჩი ამხანაგურია, მაგრამ მიიღებს თუ არა მასში მონაწილეობას ჯერარდი, უცნობია, რადგან ინგლისელთა მწვრთნელს, შვედ სვენ გორან ერიკსონს ნათქვამი აქვს, ფეხბურთელს, რომელსაც პრემიერლიგაში დასჯიან, საერთაშორისო სარბიელზეც არ გავიყვანო.

სხვათა შორის, იმ შეხვედრის შემდეგ ჯერარდმა ნეისმიტს საჯაროდ ბოდიში მოუხადა და განაცხადა, ყოველმხრივ ვცდილობდი შოტლანდიელს ავრიდებოდიო, მაგრამ ვიდეოფირმა სულ სხვა აჩვენა.

„დისკვალიფიკაციამ გული დაგვწყვიტა — თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელმა ჟერარ ულიემ — მგონი სტივენი დამნაშავე არ იყო, მაგრამ მისი დაცვისგან მაინც შევიკავებ თავს. ადრეც ვთქვი და ახლაც იმავეს ვიმეორებ, რომ ეს ცუდად შესრულებული ილეთი გახლდათ. ასეთი რამ ფეხბურთში ხდება. ჯერარდი ბოლოხანს კარგ ფორმაში იყო, მაგრამ არა უშავს, მომხდარს გადავიტანთ“.

**ბაკურა ძედია**




ალენ ბოკშიჩი (მარჯვნივ) კარიერის დასრულებაზე ლაპარაკობს

**„მიდლსბროს“** წარმომადგენლებმა განაცხადეს, ხორვატმა თავდამსხმელმა ალენ ბოკშიჩმა პრემიერლიგაში ბოლო თამაში, ალბათ, უკვე ჩაატარა, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასთან კონტრაქტი გაუქმდაო. გაუგებარია, ხომ გვეთანხმებით?

# ალენ ბოკშიჩი ხორვატიულად მიდის, ინგლისურად რჩება

უფრო გაუგებარი იყო კლუბის აღმასრულებელი დირექტორის, კეით ლემბის განცხადება, ბოკშიჩი „მიდლსბროს“ ფეხბურთელად რჩებაო. ასე გაუგებარი კი იმიტომ იყო, რომ იქვე დასძინა — ვიცი, 33 წლის ვეტერანი ხორვატიის ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, კლუბში აღარ ვითამაშებ და, საერთოდაც ფეხბურთიდან წავედიო.

„მე ვფიქრობ, რომ ალენის და „მიდლსბროს“ ურთიერთობა დასასრულს უახლოვდება — თქვა ლემბმა, — თუმცა, ამ წუთას ის დაშავებულია და ისევ კლუბში ირიცხება. ჩვენ ვითვალისწინებთ ბოკშიჩის ასაკს და ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში მასთან ერთად დავსხდებით, რათა გავარკვიოთ, რა მოხდება სეზონის დასრულებამდე. მისი კონტრაქტი 30 ივნისს კარგავს ძალას, ასე, რომ მომავალზე დალაპარაკება სწორედ დროული იქნება. როდესაც ყველაფერზე შევთანხმდებით, ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებთ“.

შევახსენებთ, რომ ხორვატი თავდამსხმელი „მიდლსბროში“ 2000 წლის აგვისტოში 4,10 მილიონ დოლარად გადავიდა და დღემდე პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე მაღალხელფასიანი ფეხბურთელია. შაბათს, ხორვატულ გაზეთებში გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ, სადაც მან განაცხადა:

„ფეხბურთიდან მივდივარ. არ მინდა დამიდგეს დღე, როდესაც ვინმე ჩემს წასვლას შვებად ჩათვლის. „მიდლსბროს“ უკვე ველაპარაკე. ჩემი კონტრაქტი ზაფხულამდე ძალაში დარჩება“.

ამაზე ლემბმა გაოცებით თქვა:

„ხორვატიული არ ვიცი, ეგ გაზეთები არ წამიკითხავს და ამიტომ ვერ ვიტყვი, რა თქვა ბოკშიჩმა. მე მხოლოდ ბრიტანულ პრესას ვეყრდნობი. ხორვატიულ გაზეთებში დაწერილმა კი თვით მისი აგენტები გააკვირვა. მე მათ ველაპარაკე“.

ბოკშიჩმა „მიდლსბროს“ შემადგენლობაში, პირველ და მეორე სეზონში ყველაზე მეტი, 12 და 8 გოლი გაიტანა, ამ სეზონში კი ტრავმამ 19 შეხვედრაში ორ გოლზე მეტის გატანის საშუალება არ მისცა.

**ბაკურა ძედია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგოლე გაბო




## ბატისტუტა ინტერის გაგონებაზე გალურჯდა და გაშავდა

*14 წლის ერნან კრესპოს ერთი სიზმარი აეკვიატა: მორიგი გატანილი გოლის შემდეგ გაბრიელ ბატისტუტა გარბოდა, კრესპო კი მას კისერზე ჩამოსაკონწიალებლად მისდევდა. ეს სიზმარი 1989 წლითაა დათარიღებული. მაშინ გაბრიელ ომარი 20 წლის იყო. იგი „ნიუელ ოლდ ბოიზიდან" „რივერ პლეიტში" გადაბარგდა. „რივერშივე", ოღონდ ბავშვთა გუნდში, თამაშობდა ერნან კრესპოც და, როგორც მოგვიანებით თქვა, თავს უბედნიერესად მაშინ გრძნობდა, როცა „რივერ პლეიტის" მატჩებისას მოედნიდან გადავარდნილ ბურთს ბატისტუტას მიურბენინებდა. 14 წლის შემდეგ ბედმა, უფრო სწორად კი კრესპოს ტრავმამ, ისინი ერთ კლუბში შეყარა. უცნაურია, რომ არგენტინის ნაკრებში მათ ერთად სულ რაღაც 76 წუთი უთამაშიათ. მწვრთნელებს ბატისტუტა-კრესპო წყვილად მოედანზე პირველივე წუთებიდან არასოდეს შეუშვიათ. მსოფლიოს განვლილ ჩემპიონატზე, შვედებთან მატჩის შემდეგ, მათ საუბარში გალიეს ღამე და ისე დაათენდათ თავზე, რომ კითხვაზე — „რატომ არ გვათამაშებენ თავიდანვე ერთად?" — პასუხს ვერ მიაგნეს. ახლაც სულ ცოტა, ორი თვის განმავლობაში არგენტინული დუეტი „ინტერში" არ შედგება მარტივი მიზეზის გამო, ერნან კრესპო ექიმების ხელში ჩავარდა. მაგრამ აი, როცა ჯანზე მოვა, მერე ვნახოთ. მანამდე კი მილანის „ინტერმა" 34 წლის არგენტინელი ფეხბურთელი „რომადან" ინათხოვრა, ბატისტუტას კარიერაც ტიტულებით დახუნძლული არაა, თუმცა მის მეგოლეობაში ეჭვი არავის ეპარება. მაშ ასე, გაბრიელ ომარ ბატისტუტა: ფლორენცია — რომი — მილანი.*

— **„ინტერის" ვარიანტი ადრეც გქონდათ?**

— ეს ალბათ, ბედია. მასიმო მორატის ბევრჯერ შევხვედრივარ, მაგრამ „ინტერში" ჩემი გადასვლა სხვადასხვა მიზეზების გამო რამდენჯერმე ჩაიშალა. თითქმის დარწმუნებულიც ვიყავი, რომ შავ-ლურჯი ფორმა არასოდეს მეღირსებოდა, თუმცა ოცნება მაინც ამიხდა.

— **რომიდან მილანში გამგზავრების წინა ღამეს თუ გაიხსენებთ...**

— ზედიზედ სამი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. შეპირებული საჩუქრის მომლოდინე ბავშვს ვგავდი, სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი. რაღაც უცნაურმა შიშმა შემიპყრო. ბოლომდე არ მჯეროდა, რომ ამ სეზონში ბედმა მსგავსი საჩუქარი მომიმზადა.

— **„ინტერის" წინადადებას „რომაზე" გულაყრილი ხომ არ დასთანხმდით?**

— სამწუხაროდ, „რომაში" ბოლო ხანს ყველაფერი აირია. 2001 წელს გაჩემპიონებული გუნდიდან მხოლოდ აჩრდილიღა დარჩა. კლუბის პრეზიდენტთან, მწვრთნელთან და გულშემატკივრებთან მცირე პრობლემებიც გაჩნდა. როგორც მოთამაშეს, ძველებურად პატივს კი მცემდნენ, მაგრამ როგორც ადამიანს, ურთიერთობები გაძნელდა. მიუხედავად ამისა, რომს ყოველთვის ტკბილად გავიხსენებ. რაც უნდა იყოს, პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი სკუდეტო იქ მოვიგე.

— **34 წლისა ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდში გადახვედით და ძირითად შემადგენლობაში თამაშის პრეტენზია გაქვთ...**

— გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, თავს შესანიშნავად ვგრძნობ და ბრწყინვალე ფორმაში ვარ. უფრო მეტიც, ფიზიკურად შარშანდელზე უკეთ გამოვიყურები.

— **კი მაგრამ, ფაქტები საპირისპიროზე მეტყველებს. ამ სეზონში მოედანზე ძალიან ცოტა დრო გაატარეთ...**

— ეს უკვე მწვრთნელის ბრალია. ჩემი ნება რომ იყოს, ყოველთვის ძირითადში ვიქნებოდი. დასანანია, პირველ წრეში სათამაშო პრაქტიკა დამაკლდა, ძალიან ხშირად შეცვლაზე შევდიოდი და მაშინაც ეულ ფორვარდად მამწესებდნენ. დავანებოთ თავი ძველ ამბებს, თავში ახლა სხვა აზრები მიტრიალებს.

— **რას აპირებთ კონტრაქტით გათვალისწინებული ხუთი თვის შემდეგ, ამბობენ, მილანიდან ინგლისისკენ გაეშურებაო.**

— ჯერ კიდევ რომში ყოფნისას პრემიერლიგის გუნდებიდან არაერთხელ შემეხმიანენ, მაგრამ ამჟამად ინგლისი აღარც მახსოვს. ჯერ ჩემპიონატი დასრულდეს და მერე ვისაუბროთ წასვლა-არწასვლაზე. მგონი, მასიმო მორატისთვის რომ გეკითხათ იგივე ჩემს შესახებ, ზუსტად ასე გიპასუხებდათ.

— **მილანში ძველი თანაგუნდელები დაგხვდნენ: ფრანჩესკო ტოლდო და რუი კოშტა.**

— რადგან მე და ტოლდო ერთად ვართ, რუი კოშტა კი მარტოა „მილანში", ანგარიში 2:1-ია ჩვენს სასარგებლოდ. შევეცდებით, რომ ცხრილშიც „მილანის" თავზე მოვექცეთ.

— **„ინტერს" ჩემპიონთა ლიგაში ვერ დაეხმარებით. ამის გამო მილანში თქვენ გადასვლას ჩაშლა ხომ არ დაემუქრა?**

— რადგან კლუბმა მე ამირჩია, გამოდის, რომ ვჭირდები. თან ვფიქრობ, „ინტერს" ახლა იტალიის ჩემპიონობა უფრო სჭირდება, ვიდრე ჩემპიონთა ლიგის მოგება. ჰოდა, მეც ეს არ მინდა? 12 წელია, იტალიაში ვარ. „ფიორენტინაში" ვერაფერს ვეწიე, „რომაში" სკუდეტო მოვიგე და იგივეს გამეორება მსურს შავ-ლურჯი ფორმითაც. ძალიან, ძალიან მწადია, რომ ჩემი იტალიური კარიერა შთამბეჭდავად დავასრულო.

— **„ინტერის" შემადგენლობაში პირველ მატჩში ვიერის მხარდამხარ ითამაშეთ. ზოგი სპეციალისტის აზრით, თქვენ მასთან „წყვილს" ვერ შექმნით...**

— ვისაც არ სჯერა, ვურჩევ „ინტერი" — „ემპოლის" შედეგს გაეცნოს. ვიერისთან თამაშმა პირველად მომიწია და რა გასაკვირია, რომ ერთმანეთს უმალ ვერ გავუგეთ. ჩვენი შეთამაშება დროის ამბავია. მე მომწონს მისი სტილი. ის არასოდეს ჩერდება, სულ მოძრაობს, პოზიციას ეძებს და ხანდახან ორი მცველიც კი ვერ უმკლავდება.

— **„ინტერის" ფანები როგორ დაგხვდნენ?**

— ვაღიარებ, მსგავს გულთბილ შეხვედრას არ ველოდი. მათი უაღრესად მადლიერი ვარ. საერთოდ კი მილანში გატარებული კვირა ძალიან იღბლიანი იყო და ალბათ, ასეც გაგრძელდება.

*გაბრიელ ომარისეული აზრები:*

*ლეგიონერის ბედზე იტალიაში:* „ყველაზე რთული დამკვიდრება და სტაბილურად მაღალ დონეზე თამაშია. პირველ სეზონში შეიძლება გულშემატკივრები რაღაცით გააკვირვო, მაგრამ მომდევნოში გაგშიფრავენ. იტალიაში ძალიან სწრაფად და ხისტად თამაშობენ, ამიტომ ყოველდღიურად უნდა ემზადო. როგორც კი მცირე წარმატებას მიაღწევ და მამლაყინწობას დაიწყებ, ტიფოზები ეგრევე ციდან მიწაზე დაგსვამენ. ლეგიონერი იტალიელზე ძლიერი თუ არ იქნება, შეუძლია, გუდანაბადი აიკრას".

*გულშემატკივრებზე:* „მომწონს, რომ ფეხბურთი იტალიაში ეროვნული კულტურის ნაწილია. სტადიონებზე ოჯახებით, ბავშვებით დადიან. ხალხი მატჩისგან სიამოვნებას ელის. ხანდახან სტუმარი გუნდის ავტობუსს ქვასაც არ დააკლებენ, მაგრამ ეს ხშირად არ ხდება. აი, ჩემს სამშობლოში, ცოლშვილს ფეხბურთის საყურებლად ვეღარ წაიყვან, იქ მატჩების უმეტესობა ჩხუბით მთავრდება".

*თანამედროვე ფეხბურთზე:* „სასაცილოა, მაგრამ დღეს მთავარ როლს ფეხბურთში ის ხალხი თამაშობს, რომლებსაც ბურთი არასოდეს გაუგორებია, ჩვენ კი, მოთამაშეებს, ყურს არავინ გვიგდებს".

*მსაჯობაზე:* „ყოველი ტურის შემდეგ ტელევიზიით მრავალჯერ იმეორებენ იმ მომენტებს, რომელშიც მსაჯი შეცდა და მისმა შეცდომამ შედეგზე გავლენა იქონია. ვფიქრობ, ასეთი მიდგომა უსამართლოა. მსაჯები ისედაც გამუდმებული წნეხის ქვეშ არიან და ყოველთვის უშეცდომოდ ვერ იმსაჯებენ. პირადად მე მაცოფებს ხოლმე ასეთი ფაქტი: არბიტრს ვეკითხები, რატომ დანიშნა თერთმეტმეტრიანი, ვთხოვ ამიხსნას, ის კი ამის გამო ყვითელ ბარათს აძრობს. სულ ორი-სამი მსაჯია იტალიაში, ნორმალურად რომ გაესაუბრები".

*ვარსკვლავებზე:* „დღეს ფეხბურთი თამაში აღარაა, ის ბიზნესია. ადრე თუ 10-15 ნამდვილ ვარსკვლავს უცბად ჩამოთვლიდი, ახლა ორი-სამი გამახსენდება. ახალგაზრდებს ძალიან ხშირად განვითარების საშუალებას არ აძლევენ. საკმარისია, რომელიმე ახალბედამ ერთი-ორი მატჩი ჩააგდოს და მაშინვე თადარიგში უკრავენ თავს. კლუბის მფლობელებს შედეგი სჭირდებათ, შედეგი, რომელსაც მათთვის ფული მოაქვს".

*საკუთარ თავზე და რონალდოზე:* „რა ვუყოთ, ის „ოქროს ბურთის" მფლობელია, მე არა სამაგიეროდ, ბატიგოლი შემარქვეს. გამოდის, რომ ეს სახელი ჩემი თამაშის და გატანილი გოლებით დავიმსახურე. ვერანაირი პრიზი იმ სიამოვნებას ვერ შემიცვლის, რომელსაც გოლების გატანა მანიჭებს".



ალესანდრო დელ პიერო ფეხბურთს ორი თვით დაემშვიდობა

# ეს ვინ დავკარგეთ!

## ლიპი და ტრაპატონი დელ პიეროს მისტირიან

**ცუდი ამბავი** მარჩელო ლიპისთვის ტურინის „იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების თავდამსხმელი ალექს დელ პიერო დაშავდა. სერია A-ს ერთ-ერთმა ბომბარდირმა 12 გატანილი გოლით ტრავმა ბერგამოში, „ატალანტასთან" საკვირაო მატჩისას მიიღო.

თავდაპირველი გამოკვლევით ექიმებმა დელ პიეროს ერთთვიანი დასვენება გამოუწერეს, მაგრამ მოგვიანებით გაირკვა, რომ მას მარცხენა თეძოს კუნთი აქვს გაწყვეტილი. მკურნალობასა და აღდგენით პროცესს სულ ცოტა, 8 კვირა დასჭირდება. ლიპი შეშფოთებულია, მის გუნდს ხომ ახლა პრინციპული მატჩები ელის როგორც სერიაში, ასევე ჩემპიონთა ლიგაში. შეწუხებულია ჯოვანი ტრაპატონიც, იტალიის ნაკრების მწვრთნელი. „სკუადრა ადურას" ჭაღარა თავკაცს დელ პიეროს ნაკრებში მიწვევა 12 თებერვლის ამხანაგური მატჩისთვის ჰქონდა დაგეგმილი. იტალია რომში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს ახლადდანიშნული მწვრთნელის ბრაზილიელი ლუიშ ფელიპე სკოლარის თამადობით. „რა უნდა ვთქვა, დელ პიეროს ტრავმა „იუვესთვის" დიდი დანაკლისია. სხვა რა გზაა, მისი მაგივრობა ჩემმა სხვა ფორვარდებმა, ტრეზეგემ, დი ვაიომ, სალასმა და ზალაიეტამ უნდა გასწიონ" — ამბობს ლიპი.

**გიორგი ფუხაძიძე**

# ისევ პიაჩენცაში

## კანიმ სამპდორიას ტყავი გააძრო



ლუიჯი კანი

**იტალიის** პირველობის ერთ-ერთმა გაჭირვებულმა „პიაჩენცამ" მწვრთნელი, ანდრეა აგოსტინელი თანამდებობიდან გაუშვა და მის ნაცვლად სამუშაოდ ლუიჯი კანი აიყვანა. კანიმ უკვე პრესკონფერენციის გამართვაც მოასწრო.

აგოსტინელის დაფრენის ბოლო მიზეზი შინ, „ბრეშასთან" წაგებული 1:4 გახლდათ. „პიაჩენცამ" ბოლო რვა თამაშში მხოლოდ 2 ქულა მოიპოვა და 13 ქულით ბოლოდან მესამე ადგილზეა.

ამრიგად, აგოსტინელი მიმდინარე სეზონში მეოთხე მოხსნილი იტალიელი მწვრთნელი აღმოჩნდა. სეზონი „ტორინოს" შეფყოფილმა ჯანკარლო კამოლეზემ გახსნა, მას რეჯინელი ბორტოლო მუტი მიჰყვა, რომლის შემდეგაც რიგში კომოელი ლორის დომინისინი იდგა.

კანი „პიაჩენცაში" მეორედ მივიდა. პირველად ამ გუნდის ბაზაზე ექვსი წელიწადი დაჰყო (1990-1996) და იგი, ისტორიაში პირველად სერია C-დან, სერია A-ში აიყვანა.

სად იყო ბოლოს ეს კაცი? პრინციპში არსად. გასულ სეზონში „სამპდორიამ" გააგდო, მაგრამ კონტრაქტი არ გაუწყვეტია. ერთი სიტყვით, ის შინ იჯდა, „სამპდორიამ" კი სანამ შეძლო, ხელფასი უხადა, თუმცა ბოლოს წელში გაწყდა და კანიც იძულებული გახდა, სამსახური მოენახა.

**პაპუნა ძიძია**

# დღე პირველი

## ბარსელონას ახლების ორშაბათი

*წინა უქმეებზე „ბარსელონა“ ორი ნევრით გამდიდრდა. უფრო სწორად, ორი ნევრი შეემატა, გამდიდრების ამბავი კი მოგვიანებით გამოჩნდება. მთავარი ახალმოსული, ცხადია, რადომირ ანტიჩია, მეორე კი არგენტინელი მცველი ხუან პაბლო სორინი.*

*ორშაბათს ორთავეს პირველი სამუშაო დღე ჰქონდა.*

### რადომირ ანტიჩი

„ბარსელონას“ სერბმა მწვრთნელმა (თავად ამბობს, იუგოსლაველი ვარო) რადომირ ანტიჩმა პარასკევს კატალონიურ კლუბში მუშაობაზე თანხმობა განაცხადა, შაბათს „ატლეტიკოსთან“ თამაშს ტელევიზორში უყურა, კვირას ოფიციალურად დაინიშნა პოსტზე, ორშაბათს კი პირველი ვარჯიშიც ჩაატარა.

ცხადია, რომ ახალი მწვრთნელის პირველ ვარჯიშს მისეირე ბევრი ეყოლებოდა, მათ ნახეს: რადომირ ანტიჩი ვადაზე დათქმულ დროზე თხუთმეტი წუთით ადრე მივიდა და თანაშემწეებთან ერთად მოედანზე სავარჯიშო კონუსების დაწყობას შეუდგა. ეს საქმე რომ მოათავა, ფეხბურთელებიც გამოჩნდნენ. ანტიჩმა, თქვენი ფიზიკური ფორმა რაღაც არ მომწონს და, დღეს ამაზე ვივარჯიშოთო. ერთი სიტყვით, ანტიჩის პირველ ბარსელონურ ვარჯიშზე გუნდმა უბურთოდ ვარჯიშს ბურთით ვარჯიშზე ბევრად მეტი დრო დაუთმო.





### ხუან პაბლო სორინი

**— რითი მოხვედით კლუბში?**

— ენთუზიაზმით და მუშაობის ჟინით. კრიზისიდან თავის დასაღწევად თავს არ დავზოგავ.

**— რა იცით „ბარსელონაზე“ და საერთოდ ესპანურ ფეხბურთზე?**

— ყოველთვის მხიბლავდა გრანდები. „ბარსელონა“ სწორედ ასეთი კლუბია და ,ვფიქრობ, აქ უკეთეს ფეხბურთს ვითამაშებ. ძალიან მომწონს ესპანური ლიგაც. სხვა რომ არაფერი, ესპანური ჩემი მშობლიური ენაა და აქ არ გამიჭირდება.

**— კლუბის ქომაგები თქვენგან რას უნდა ელოდნენ?**

— ყოველი მატჩისას ასი პროცენტით დავიხარჯები. ახლა გუნდი ისეთ დღეშია, რომ თითოეულ შეხვედრა ფინალივითაა. აი, ნახეთ, იმედს არავის გავუცრუებ.

# ესპანურმა რადიომ დაიყუროყინა

## რივალდო ვირიაო!

**ვირიო,** კაცო, ვირიო! რა ვირი და სახედარიაო, სახედარი, გაჰყვიროდა თურმე შარშან ივლისში რადიო. რომელი? რომელი და ესპანეთში, კატალონიაში, ბარსელონაში რომ არის დასადგურებული.

რა ყროყინი აუტყდა პაპანაქება სიცხეში „ონდა რამბლას“? რადიოსადგურ „ონდა რამბლას“ ბარსელონიდან მილანში მიმავალი ერთი კაცისთვის არჩევანი დაუწუნებია.

აბა, გავიხსენოთ ის ვინ იყო. ვინ წავიდა შარშან ზაფხულში ბარსელონიდან მილანში? პასუხი მარტივია. თქვენ იტყვით, რა ვიცი, შარშან ივლისში ბარსელონიდან მილანში ასეულობით ვინმე წავიდოდაო. მაგრამ თუ დავაკონკრეტებთ, რომ ის ერთი ბრაზილიელი მსოფლიოს ჩემპიონია ფეხბურთში, თან ლუის ვან გაალის ბლოკნოტში შავი მელნით იყო შეტანილი, მიხვდებით — რივალდო ვიქტორ ბორბა.

რივალდო მილანში წავიდა, მადრიდის „რეალში“ კი არა, მაგრამ კატალონიელ ნაგიჟრებს მისი წასვლა მაინც ღალატად შეუფასებიათ. არადა, რა ექნა, ვან გაალი გუნდში არ აჩერებდა, ბლოკნოტის მთრეველად ხომ არ დაუდგებოდა „ბარსელონას“ ერთგულების გამო?

„ონდა რამბლას“ დავუბრუნდეთ. კატალონიური რადიოსადგურის ხმით, რივალდოს ვირი უწოდეს. აი, ასე, ვირი და მორჩა. იქ კიდევ რაღაც სიტყვებიც მიაყოლეს, თაღლითი და აფერისტიც კი გახადეს, მაგრამ განა ეს სიტყვები ვირთან მივა?

ბრაზილიელმა თავის ყურით მოისმინა თუ ვინმემ „ახარა“, უცნობია, თუმც რომ შეიტყო, ეს ნამდვილია. რივალდომ „ონდა რამბლას“ შეურაცხყოფისთვის სასამართლოში უჩივლა, მაგრამ რად გინდა, იქ ნამდვილად სახედრები აღმოჩნდნენ. ფეხბურთელის საჩივარი არ დააკმაყოფილეს, ვირი რა საწყენი სიტყვააო. ეს კიდევ არაფერი, აი, ამონარიდი განაჩენიდან (სიტყვა-სიტყვით): „ისეთი პოპულარული და საქვეყნოდ ცნობილი კაცი, როგორიც რივალდო ვიქტორ ბორბაა, მზად უნდა იყოს იმისათვის, რომ მისი მისამართით ხალხმა შეიძლება მსგავსი ეპითეტები იხმაროს. ჩვეულებრივი მოქალაქის მისამართით თქმული სიტყვა „ვირი“ კი შეურაცხყოფად შეფასდებოდა“.

გამოდის, რომ (კატალონიური ვერსიით) პოპულარული, ცნობილი ხალხის ვირად მოხსენიება შეურაცხმყოფელი არაა.

თბილისში ერთი შენობა ვიცი, ყოველდღე ბითუმად პოპულარული...

ვისაც თავი პოპულარულად მიგაჩნიათ, მზად იყავით!

**კოტე ლორია**



*დორტმუნდის „ბორუსიასთან“ მარცხის (0:2) შემდეგ ლევერკუზენის „ბაიერს“ გასავარდნი ჯგუფისგან მხოლოდ ერთი ქულა აშორებს, მისი ზორბა პრეზიდენტის, რაინერ კალმუნდის ჯანმრთელობას კი უკვე დიდი ხანია, ყვითელი ბარათი აქვს მიღებული. „როცა „დორტმუნდთან“ თამაშის დროს გადაღებული ჩემი სახე ვნახე, შევძრწუნდი ეგრე დაჯღანული ალბათ არასოდეს ვყოფილვარ — ამბობს კალმუნდი — არ მიტირია, მაგრამ მაყურებელი ისედაც მიხვდებოდა, თუ რა ფასად მიჯდება ყოველი მარცხი. თუმცა, სანამ ექიმი წითელს არ მიჩვენებს, არ მოვისვენებ“.*

# ლევერკუზენი სუსტდება, კალმუნდი სუქდება

**ექიმი,** კარლ-ჰაინრიხ დიტმარი ჰერ კალმუნდს ყოველთვის გვერდით უზის. მათთან ერთად ჩამოჯდება ხოლმე დიტერ ცოლეკიც, გამოცდილი ფიზიოთერაპევტი, ვინაც თვლის, რომ მისი ბოსისნაირი „პროფები“ თავიანთ ჯანმრთელობას ეთამაშებიან. „მისთვის წაგება საშინელებაა — ნებისმიერი მარცხი გულთან მიაქვს“ — ამბობს იგი.

ყოველი მატჩის წინ ჰერ კალმუნდი დასამშვიდებელი წამლების ბარაქიან ულუფას მიირთმევს. ცოლეკის აფთიაქში კი უხვად მოიძევება ინფარქტისას გადაუდებლად მისაღები პრეპარატები. ოღონდ კლუბის პრეზიდენტი წამლებზე მეტად მაინც კალორიებს ენდობა — მოოხშივრე, ტაფაში ჩამდნარი ღორის ხორცი მას ყოველგვარ ტრანკვილიზატორს ურჩევნია.

დიტერ ცოლეკმა მას ჯერ კიდევ ორი წლის წინ უთხრა: „კალი, თუკი ასე თქვლეფას არ შეეშვები, ჯანმრთელობას საბოლოოდ გაიფუჭებ“.

არადა, „ბაიერის“ ცხრილში დაშვებასთან ერთად ჰერ კალმუნდის მიერ მოხმარებული კალორიები იზრდება.

სად არის საშველი?

სპეციალისტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ საქმეს შეიძლება მწვრთნელის დათხოვნამ უშველოს.

კალმუნდი: „ტოპი (კლაუს ტოპმიოლერი) მშვენიერი ადამიანია. მაგრამ მწვრთნელმა წარმატება და შედეგი უნდა უზრუნველყოს. იმედი მაქვს, შედეგს უნტერჰახინგსა და ბოხუმში გასამართი შეხვედრები მაინც მოიტანს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერზე ღიად და ჰალალად ლაპარაკი მოგვიხდება“.

კლაუს ტოპმიოლერმა ამის შესახებ თავადაც უწყის და პრეზიდენტის მსგავსად თავადაც იმედიანადაა. „ჩვენ გვაქვს საიმისო კლასი, რათა რამდენიმე ადგილით წინ წავიწიოთ“ — ამბობს იგი.

შეიძლება თუ არა, რომ „ბაიერის“ საამსეზონო წარუმატებლობანი მთლიანად ბალაკისა და ზე რობერტოს წასვლას დაბრალდეს?

ტომპიოლერი ასე პასუხობს: „ცხადია, არა. თუმცა არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ორი მთავარმოთამაშის წასვლა გუნდისთვის აუნაზღაურებელი დანაკლისი იყო. ამას ტრავმიანობაც დაერთო. იენს ნოვოტნიმ დაბრუნება ვერ მოასწრო, ისევ დაიმტვრა... მაგრამ თავს მაინც ვერაფრით ვიმართლებთ. ჩვენ ამ ძალებითაც შეგვეძლო, გაცილებით უკეთ გვეთამაშა“.

მწვრთნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ამ, ყველაზე კრიზისულ სიტუაციაშიც კი, ის არ ცდილობს ყველაფრის ფეხბურთელებზე გადაბრალებას და უწინარესად საკუთარ შეცდომებზე საუბარს არჩევს. მაინც რას თვლის ის თავის უმთავრეს მიქარვად?

„იმას, რომ მსოფლიო ჩემპიონატზე გარჯილ ბიჭებს უფრო მეტხანს დასვენების საშუალება არ მივეცი. თითოეულს საიმსეზონოდ სადღაც 78 მატჩამდე დაუგროვდა“.

მაგრამ ახალწვეულნი?

„ჰო, მათ თავი არაფრით გამოუჩენიათ. უწინარესად ფრანცასა და შიმაკს ვგულისხმობ. მაგრამ მჯერა, ადრე თუ გვიან ისინი ისე ათამაშდებიან, როგორც მათ კლასსა და ჩვენს მოლოდინს შეესაბამება. იქნებ აღარ გახსოვთ — მსოფლიო დონის ისეთმა მოთამაშემაც კი, როგორიც ემერსონია, ჩვენთან პირველი წლის ნახევარი სათადარიგოთა სკამზე გაატარა“.

რა მოხდება დღეს, კვლავ გაფრთხილდება თუ არა ჰერ კალმუნდის ნატკენი გული მის ნაჰამბურგერალ გულბოყვში, თუ მასაც და კლაუს ტომპიოლერსაც გულებიდან დიდი ლოდები გადაეყრებათ? ამას დღეს, მიმწუხრისას შევიტყობთ.

ისე კი — არ დაგავიწყდეთ, „უნტერჰახინგი“ ის გუნდია, რომელმაც 2000 წლის უკანასკნელ ტურში „ბაიერს“ 2:0 მოუგო და ჩემპიონის ტიტული დააკარგვინა.

**ლევან ძელაურაძე**



რაინერ კალმუნდი


სამკურნალო გაერთიანება

„ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

# 108 სერიული მოგებები ქართულ-ბასკური პარალელებით



„სოსიედადს“ წაუგებელი სერია ხოსება ეჩებერიამაც (შუაში) შეაწყვეტინა

„რეალ სოსიედადის“ წაუგებელი სერიის გამო გვარიანი ხმაური იყო ატეხილი — 22 შეხვედრა ხუმრობა საქმე როდია. მაგრამ აქ წარმოდგენილ სიას თუ გადავხედავთ, სად „სოსიედადის“ 22 წაუგებელი თამაში და სად, ასეკ-ის 108-მატჩიანი სერია, ხუთ წელიწადზე რომ გადაიჭიმა. მაგრამ საკითხს სხვა კუთხიდანაც შეგვიძლია შევხედოთ: აბა, სად კოტ დივუარის ჩემპიონატი და სად, ესპანეთისა. ასეკ-ს ხუთი წელი ვერ უგებდნენ აჯამის „სტელა“, ბოუაკეს „ალიანსი“ და მისთანები, ხოლო რომელ გუნდებთან უხდება თამაში „სოსიედადს“ ყოველ უქმეებზე, ვფიქრობთ, შეხსენება უადგილოა. ჰოდა, ცხრილს ამ პრინციპით თუ გადავავლებთ თვალს, უპირველესად „მილანი“ უნდა შევაქოთ, რომლის დამჯაბვნელი 1991-93 წლებში ამოდენა სერია A-ში არავინ მოინახა.

თუ ჩამონათვალს ქვევით ჩავყვებით, მსხვილი შრიფტით დაბეჭდილ საქართველოს ათგზის ჩემპიონსაც გადააწყდებით 36 წაუგებელი შეხვედრით. ჩვენი გუნდია და დავაზუსტოთ: თბილისის „დინამოს“ 1995-96 წლების სეზონის მეათე ტურიდან 1996-97 წლების სეზონის მე-16 ტურის ჩათვლით არ წაუგია.

„რეალ სოსიედადს“ მივუბრუნდეთ, რომლის წაუგებელმა სერიამაც გადაგვაწყვეტინა ამ სიის გამოქვეყნება. ეგებ სიმბოლურიც იყო, რომ „სოსიედადი“ სწორედ ბილბაოში დამარცხდა და არა სადმე სხვაგან.

ბასკური დერბი ისეთი რამაა, რომლის დროსაც მაყურებელთა ვნებათაღელვა ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ალბათ, მხოლოდ სევილიელთა ნერვიულობას ჩამოუვარდება სევილიური დერბისას. აქვე აღვნიშნოთ, რომ ბასკთა ქვეყანაში დერბის მხოლოდ „ბილბაო“ — „სოსიედადს“ უწოდებენ და არა ვთქვათ, „ბილბაო“ — „ალავესს“ ან „სოსიედად“ — „ოსასუნას“. ხოლო თავად დერბი ერთადერთ შემთხვევაში არ არის უშელავათო — როცა ერთი გუნდი გავარდნის პირასაა, მეორეს კი ქულები მაინცდამაინც არ სჭირდება.

წლევანდელი დერბი ორი რამითაც იყო გამორჩეული. ერთი, რომ მატჩამდე გუნდებს 21 ქულა ჰყოფდათ, რაც ესპანეთის ჩემპიონატების ისტორიაში აქამდე არასდროს მომხდარა და მეორეც, „სოსიედადი“ პირველად ესტუმრა ბილბაოს ცხრილის ლიდერად. ისიც გავიხსენოთ, რომ სანსებასტიანელებს მარცხი ძველმა სოსიედადელმა, ხოსება ეჩებერიამ აგემა — უფრო სწორად, მისმა ორმა გოლმა და ერთმაც საგოლე პასმა.

და ბოლოს, ჩამონათვალის ბოლოში კოლუმბიური „მილიონარისია“ ზედიზედ 29 წაუგებელი შეხვედრით. უკვე მომდევნო უქმეებზე კი „მილიონარისს“ შესაძლოა, „პორტუ“ დაეწიოს, რომელსაც ამ მომენტისთვის პორტუგალიის ჩემპიონატში 28 წაუგებელი თამაში დაჰგროვებია — რვა წინა სეზონიდან გადმოყოლილი და ოციც ამ სეზონისა.

## მსოფლიოს კლუბთა წაუგებელი სერიები

| კლუბი (ქვეყანა) | თამაში | სეზონიდან | სეზონამდე |
|---|---|---|---|
| ასეკი (კოტ დივუარი) | 108 | 1989 | 1994 |
| სტიაუა (რუმინეთი) | 104 | 1986 | 1989 |
| ესპერანსი (ტუნისი) | 85 | 1997 | 2001 |
| სელტიკი (შოტლანდია) | 62 | 1915 | 1917 |
| უნიონ სენ-ჟილუაზი (ბელგია) | 60 | 1932 | 1935 |
| მილანი (იტალია) | 58 | 1991 | 1993 |
| სკონტო (ლატვია) | 58 | 1993 | 1996 |
| ბენფიკა (პორტუგალია) | 56 | 1977 | 1979 |
| პენიაროლი (ურუგვაი) | 56. | 1966 | 1969 |
| დალიან ვანდა (ჩინეთი) | 55 | 1995 | 1997 |
| ემპირი (ანტიგუა და ბარბუდა) | 55 | 1997 | 2000 |
| შახტარი (უკრაინა) | 55 | 2000 | 2002 |
| პრინჩიპატი (ანდორა) | 54 | 1997 | 1999 |
| პორტუ (პორტუგალია) | 53 | 1994 | 1996 |
| სილექსი (მაკედონია) | 53 | 1995 | 1997 |
| აიაქსი (ჰოლანდია) | 52 | 1994 | 1996 |
| სპარტა (ჩეხოსლოვაკია) | 51 | 1920 | 1923 |
| ბარი თაუნი (უელსი) | 51 | 1997 | 1998 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 51 | 1999 | 2001 |
| ლევადია (ესტონეთი) | 49 | 1999 | 2001 |
| ნორმა (ესტონეთი) | 48 | 1991 | 1994 |
| ბეშიქთაში (თურქეთი) | 48 | 1991 | 1992 |
| კარედა (ლიტვა) | 48 | 1997 | 1999 |
| დინამო (რუმინეთი) | 47 | 1991 | 1992 |
| ობილიჩი (იუგოსლავია) | 47 | 1997 | 1999 |
| სკონტო (ლატვია) | 47 | 1996 | 1998 |
| დინამო (ალბანეთი) | 46 | 1955 | 1956 |
| ფლორა (ესტონეთი) | 46 | 1994 | 1996 |
| მაკაბი (ჰაიფა, ისრაელი) | 46 | 1993 | 1994 |
| ალ-აჰლი (ეგვიპტე) | 45 | 1998 | 1999 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) | 45 | 1996 | 1997 |
| პალესტინო (ჩილე) | 44 | 1977 | 1978 |
| ნოტინგემ ფორესტი (ინგლისი) | 42 | 1977 | 1978 |
| პიუნიკი (სომხეთი) | 41 | 1995 | 1997 |
| ვინერ შპორტ-კლუბი (ავსტრია) | 41 | 1958 | 1960 |
| ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) | 40 | 1998 | 1999 |
| დუნაფერი (უნგრეთი) | 40 | 1999 | 2000 |
| ფიორენტინა (იტალია) | 40 | 1955 | 1956 |
| ვარდარი (მაკედონია) | 39 | 1994 | 1996 |
| რასინგი (არგენტინა) | 39 | 1965 | 1966 |
| შირაქი (სომხეთი) | 38 | 1994 | 1995 |
| ანართოსისი (კვიპროსი) | 38 | 1999 | 2000 |
| სოსიედადი (ესპანეთი) | 38 | 1979 | 1980 |
| სელტიკი (შოტლანდია) | 37 | 1995 | 1996 |
| პერუჯა (იტალია) | 37 | 1978 | 1979 |
| შერიფი (მოლდოვა) | 37 | 2001 | 2002 |
| ვიძევი (პოლონეთი) | 37 | 1995 | 1996 |
| გალათასარაი (თურქეთი) | 36 | 1985 | 1986 |
| **დინამო (საქართველო)** | 36 | 1996 | 1997 |
| ჰამბურგი (გფრ) | 36 | 1982 | 1983 |
| უნივერსიტარიო (პერუ) | 36 | 1974 | 1975 |
| ვიტებსკი (ბელარუსი) | 35 | 1994 | 1995 |
| ფეიენოორდი (ჰოლანდია) | 35 | 1969 | 1970 |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 35 | 1977 | 1978 |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 35 | 1985 | 1986 |
| პსვ ეინდჰოვენი (ჰოლანდია) | 35 | 2000 | 2001 |
| აპოელი (კვიპროსი) | 34 | 1947 | 1950 |
| ნასიონალი (ურუგვაი) | 34 | 1915 | 1918 |
| ვარდარი (მაკედონია) | 34 | 1993 | 1994 |
| ლიდს იუნაიტედი (ინგლისი) | 34 | 1968 | 1969 |
| დინამო (უკრაინა) | 33 | 1999 | 2000 |
| ლეგია (პოლონეთი) | 33 | 2001 | 2002 |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 33 | 1963 | 1965 |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 33 | 1994 | 1995 |
| ფირუზი (ირანი) | 33 | 1999 | 2000 |
| უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) | 33 | 1999 | 1999 |
| ტირანა (ალბანეთი) | 32 | 1936 | 1937 |
| ალგა (ყირგიზეთი) | 32 | 1993 | 1993 |
| დეფენსორ სპორტინგი (ურუგვაი) | 32 | 2000 | 2001 |
| დინამო (უკრაინა) | 32 | 2001 | 2002 |
| ნანტი (საფრანგეთი) | 32 | 1994 | 1995 |
| სპარტა (ჩეხეთი) | 32 | 1996 | 1997 |
| მილიონარისი (კოლუმბია) | 29 | 1999 | 1999 |



ხალხმა რუშთუ რეჩბერი ოლივერ კანს არჩია

## სახალხო @გუნდი
### 900 ათასის რჩეული თერთმეტი

უეფამ, ევროპული ფეხბურთის მმართველმა ორგანიზაციამ, ამას წინათ თავის ვებ-გვერდზე გამოკითხვა მოაწყო — წლის საუკეთესო თერთმეტეული და რჩეული მწვრთნელი დაასახელა.

როგორც სააგენტო „როიტერი“ გვატყობინებს, გამოკითხვაში 900 ათას ადამიანს მიუღია მონაწილეობა. ნომინანტები ამპლუების მიხედვით თავად უეფამ შეარჩია, მთავარი ხმის მიცემა გახლდათ.

ერთი სიტყვით, ჩვეულებრივი, არჩევითი პროცედურა ჩატარდა. ნომინანტები წლის უმთავრეს შეჯიბრებაზე ნაჩვენები შედეგებით და ფეხბურთელთა თამაშის მიხედვით შეირჩა. მოთამაშეთა კლასი და კვალიფიკაცია, ცხადია, კორეა-იაპონიაში გამართულმა მსოფლიოს ჩემპიონატმაც განსაზღვრა. ქვევით ხალხის მიერ შედგენილ მსოფლიოს ნაკრებს გაეცნობით და თავად შეაფასეთ. თუმც ერთი რომ არ ვთქვათ, არ იქნება — თურქეთის ეროვნული ნაკრების მეკარე რუშთუ რეჩბერმა თვით ოლივერ კანი დაჩრდილა, მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელი და წლის რჩეული გოლკიპერი. რატომ რუშთუ და არა კანი? თუ შედარებაზე მიდგა საქმე, კი ბატონო, ორივე მეკარემ განვლილ მუნდიალზე თავიანთი ნაკრებების შედეგებში დიდი წვლილი შეიტანეს, მაგრამ ოლი მიუნხენის „ბაიერნში“ თამაშობს, რუშთუ „ფენერბაჩეში“. სამართლიანობა მოითხოვს, აღვნიშნოთ, რომ თურქეთის ჩემპიონატში ახლა ვერც „ფენერი“ ბრწყინავს და ვერც რუშთუ. გავბედავთ და ვივარაუდებთ, ალბათ, გამოკითხვაში თურქები სჭარბობდნენ. ქვემოთ ხალხის რჩეულ თერთმეტეულს გაეცანით.

*მეკარე: რუშთუ რეჩბერი (ფენერბაჩე; თურქეთი), მარჯვენა მცველი: კარლეს პუიოლი (ბარსელონა; ესპანეთი), ცენტრალური მცველები: ალესანდრო ნესტა (მილანი; იტალია) და კრისტიან კივუ (აიაქსი; რუმინეთი), მარცხენა მცველი: რობერტო კარლოსი (რეალი; ბრაზილია), მარჯვენა ნახევარმცველი: დემიენ დაფი (ბლექბერნ როვერსი; ირლანდია), საყრდენი ნახევარმცველი: მიხაელ ბალაკი (ბაიერნი; გერმანია), მარცხენა ნახევარმცველი: კლარენს ზეედორფი (მილანი; ჰოლანდია), შემტევი ნახევარმცველი (პლეიმეიკერი): ზინედინ ზიდანი (რეალი; საფრანგეთი), თავდამსხმელები: რონალდო (რეალი; ბრაზილია) და ტიერი ანრი (არსენალი; საფრანგეთი), მწვრთნელი: შენოლ გიუნეში (თურქეთი).*

**გიორგი გუგაკიძე**

*გუშინ მადრიდში G 14-ის სხდომა გაიმართა, რომელზეც ფიფა-უეფასთვის გასაგზავნი რამდენიმე რეკომენდაცია მიიღეს. ერთი მხრივ, რეკომენდაცია იმისაა, გინდა შეასრულებ, გინდა — არა, მაგრამ G 14-ის გაქანების ამბავი რომ მოგვეხსენება, მისი რეკომენდაცია უფრო მოთხოვნაა, რომელსაც მუქარის ელფერი დაჰკრავს*

# G14: ქიში!

## პირველი ვარიანტი: კლუბები იწყებენ და იგებენ

## მეორე ვარიანტი: იხილეთ პირველი



თომას კურთი



ლორან პერპერი

**სანამ** მთავარ სათქმელს მივადგებით, კარლოს ალბერტო პარეირას მიერ მომავალ კვირაში ჩინეთის ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელებს ჩამოგითვლით:

მეკარეები: დიდა (მილანი, იტალია), ჟულიო სეზარი (ფლამენგო);

მცველები: კაფუ (რომა, იტალია), ბელეტი (ვილიარეალი, ესპანეთი), რობერტო კარლოსი (რეალი, ესპანეთი), ჟუნიორი (პარმა, იტალია), ედმილსონი (ლიონი, საფრანგეთი), როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია), ჟუანი (ლევერკუზენი, გერმანია), ლუიზაო (კრუზეირო);

ნახევარმცველები: ემერსონი (რომა, იტალია), ჟილბერტო სილვა (არსენალი, ინგლისი), ზე რობერტო (ბაიერნი, გერმანია), ფლავიო კონსეისაო (რეალი, ესპანეთი), ჟუნინიო (ლიონი, საფრანგეთი), კლებერსონი (ატლეტიკო პარანენსე);

თავდამსხმელები: ადრიანო (პარმა, იტალია), ამოროზო (დორტმუნდი, გერმანია), დენილსონი (ბეტისი, ესპანეთი), რივალდო (მილანი, იტალია), რონალდინიო (პსჟ, საფრანგეთი), რონალდო (რეალი, ესპანეთი).

ცხადია, ბრაზილიის ნაკრების საჩინეთო შემადგენლობა შემთხვევით არ წარმოგვიდგენია. საქმე ის გახლავთ, რომ 22 გამოძახებულიდან 19 ფეხბურთელი ევროპაში თამაშობს, მათგან 17 კი G 14-ში შემავალ ან გაწევრიანების მომლოდინე კლუბების წევრები არიან. ჰოდა, კლუბებს, ცხადია, არ სურთ ფეხბურთელების ამხელა გზაზე გაშვება, როცა ეროვნულ ჩემპიონატებში უმნიშვნელოვანესი მატჩები ელით და ჩემპიონთა ლიგაც კარსაა მომდგარი.

G 14-ის აღმასრულებელმა მდივანმა თომას კურტმა ამის თაობაზე განაცხადა: „ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციას მოთამაშეები ჩინეთში სარეკლამო კამპანიისთვის და ფულის საკეთებლად მიჰყავს. იმის მტკიცება, რომ ამხელა გზაზე დაბალი კლასის გუნდთან სათამაშოდ წასვლა ბრაზილიის ნაკრებს გამოცდილებას შემატებს, უაზრობაა. მაგრამ მათ ავიწყდებათ, რომ ამ ფეხბურთელებს ხელფასს ჩვენ, კლუბები ვუხდით და მათი გადაღლა ან დაშავება ჩვენ გვექცევა პრობლემად".

ბრაზილიის ნაკრების საქმე ერთი კონკრეტული შემთხვევაა, ხოლო მთლიანობაში პრობლემას, რომელმაც „კლუბები VS ნაკრებები" სახელწოდება მიიღო, G 14 ფიფასთან ივნისში განიხილავს. რატომ ივნისი? იმ დროს საფრანგეთში კონფედერაციათა თასის გათამაშება მოეწყობა — უმრავლესობის აზრით, სრულიად უაზრო ტურნირისა და G 14 ფიფას ამ ტურნირის გაუქმებასაც მოსთხოვს.

„ყველასთვის უკეთესი იქნება, თუ ფიფა ამ პრობლემას თავად მოაგვარებს, თორემ ჩვენ ჩვენსას მაინც გავიტანთ — თქვა სხდომის მერე პსჟ-ს პრეზიდენტმა ლორან პერპერმა და დაგვეთანხმებით, მისი ეს განცხადება, თავისი არსით, მუქარაა — ჩვენ ფეხბურთელებს ოფიციალურ სანაკრებო მატჩებზე ვუშვებთ და ეს საკმარისია. უაზრო ტურნირებისთვის და ამხანაგური მატჩებისთვის კი თავს არ უნდა ვიტკივებდეთ".

თითქოს უცნაური ამბავია — რამდენიმე კლუბი ფიფას, ამ ღონიერ და გავლენიან ორგანიზაციას, თამამად ემუქრება. მაგრამ ბატონებმა ფლორენტინო პერესმა, ადრიანო გალიანიმ თუ კარლ-ჰაინც რუმენიგემ იციან, რასაც აკეთებენ და ამის თვალსაჩინოდ წარმოდგენისთვის G 14-ისა და უეფას ურთიერთობაც საკმარისია.

1998 წლიდან მოყოლებული გამუდმებით ახსენებენ მითიურ სუპერლიგას, რომლის შექმნის იდეაც მილანში დაბანაკებულ მრავალეროვნულ კომპანია „მედია პარტნერზს" გაუჩნდა. კომპანია ევროპის ელიტარული, ნბა-ს ტიპის ჩაკეტილი ლიგის შექმნას აპირებდა და საარაკო ფულის სანაცვლოდ ბობოლა კლუბების გადაბირება მოინდომა. უეფა აშკარად შეშინდა, რისი დასტურიც ჩემპიონთა ლიგის 32-გუნდა ფორმატის მოგონება გახდა. ახალი ფორმატით ლიგა უფრო მომგებიანად იქცა და კლუბებიც დამშვიდდნენ. მაგრამ დროებით — სუპერლიგის იდეა მალიმალ წამოყოფდა ხოლმე თავს და რატომღაც სწორედ მაშინ, როცა G 14-ს უეფას მიმართ ახალ-ახალი მოთხოვნები უჩნდებოდა. აქ დროში დამთხვევაზე ლაპარაკი სასაცილოა, ანუ G 14 უეფას სუპერლიგით აშანტაჟებდა და ახალ დათმობებზე იყოლიებდა.

ბოლო ხანს „მედია პარტნერზის" ნაცვლად G 14-ს ახალი პარტიორი გაუჩნდა, ესპანელ ბიზნესმენთა ჯგუფი, ვინმე კარლოს გარსია პარდოს თავკაცობით. ჯგუფმა კლუბებს „ევროპის ოქროს თასის" დაარსება შესთავაზა და „მედია პარტნერზზე" უკეთესი პირობებით გააბრუა. „ოქროს თასის" გათამაშების დაწყების თარიღად 2006-07 წლების სეზონს ასახელებენ, რადგან იქამდე ბობოლა კლუბებს სატელევიზიო კონტრაქტები ეროვნულ ჩემპიონატებსა და ჩემპიონთა ლიგაში თამაშს ავალდებულებს.

უნდა ითქვას, რომ G 14 „ოქროს თასის" იდეასთან კავშირს უარყოფს. ახლაც, მადრიდული სხდომის მერე, „აიაქსის" პრეზიდენტმა მიხაელ ვან პრააგმა განაცხადა, ამ თემაზე არც გვისაუბრიაო. თუმცა მოგეხსენებათ, ხმამაღლა ნათქვამი სიტყვები რეალურ ჩანაფიქრს ყოველთვის არ ემთხვევა.

ახლა გავარჩიოთ, თუ რა შეიძლება მოხდეს?

პირველი ვარიანტი: ევროპის ბობოლა კლუბები ეროვნული ფედერაციების, უეფას და ფიფას მიერ მოწყობილ შეჯიბრებებს მიატოვებენ და „სუპერლიგას", „ოქროს თასს" თუ რაც გნებავთ უწოდეთ, დამოუკიდებულ ჩემპიონატს მოაწყობენ. ცხადია, ჩემპიონატს, რომლის ყოველ ტურშიც „მილანი" ხვდება „რეალს", „მანჩესტერი", „ბაიერნს", „ბარსელონა", „იუვენტუსს" და ასე შემდეგ, მაყურებელი, რეკლამა და ტელეკონტრაქტები არ მოაკლდება. ანუ G 14-ში გაერთიანებული ეს კლუბები უფრო მეტ ფულს იშოვნიან ვიდრე ახლა შოულობენ.

მეორე ვარიანტი: პირველი ვარიანტით შეშინებული უეფა, ხელში მხოლოდ „ოსასუნა", „ბრედფორდი", „კომო" და მისთანები რომ არ შერჩეს, კაპიტულაციის გამოაცხადებს და ჩემპიონთა ლიგის ფინანსურ ბერკეტებს მთლიანად G 14-ს გადააბარებს.

საბოლოოდ კი მივიღებთ, რომ ბობოლა კლუბები ორივე შემთხვევაში კმაყოფილები რჩებიან და თუ რომელი ვარიანტი გაიმარჯვებს, უეფას დათმობათა ხარისხზეა დამოკიდებული.

**ირაკლი ნინიძე**



ფიფას პრეზიდენტი იოზეფ ბლატერი და უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი საპასუხო სვლაზე ფიქრობენ




პორტუგალიური „პორტუ" ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ისტორიისა და სტატისტიკის კომიტეტმა იანვრის საუკეთესო გუნდად დაასახელა. „პორტუმ" გასულ თვეში ზედიზედ ექვსი მატჩი მოიგო ეროვნულ ჩემპიონატში, გაიტანა 12 გოლი და გაუშვა 3. „პორტუს" წლევანდელ პირველობაშიც შესაშური შედეგი აქვს — ჩაატარა 20 მატჩი და 60 შესაძლებლიდან მხოლოდ სამი ქულა დაკარგა. ამ მაჩვენებელმა პორტუგალიელები რეიტინგლისტში 36-ე ადგილამდე აღაზევა, ცხრილს კი სათავეში ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედი" უდგას.

**ჩეხმა ნახევარმცველმა ირჟი იაროშიკმა ეროვნულ ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. მოსკოვური ცსკა-ს ახალწვეულს, რომელიც არმიულ კლუბში იანვარში გადაბარგდა, მიზეზი არ დაუკონკრეტებია. არც ჩეხეთის ნაკრების მწვრთნელს ჩამოუხევია ირჟი იაროშიკისთვის კალთები, გინდა თუ არა ფრანგებთან ამხანაგურ მატჩში დაგვეხმარეო.**

ინგლისური „ჩელსის" ისლანდიელმა თავდამსხმელმა ეიდურ გუდიონსენმა კლუბთან ახალი, ოთხწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რითაც ბოლო მოუღო მითქმა-მოთქმას, თითქოსდა იგი „მანჩესტერ იუნაიტედში", „ბარსელონაში", ან „ტოტენჰემში" აპირებდა გადასვლას. ახალი კონტრაქტის ძალით ეიდურ გუდიონსენი კვირაში 27 000 გირვანქას მიიღებს. „ჩელსიში" კი 2007 წლის ივნისამდე დარჩება.

**უკრაინელი ფეხბურთელები — ოლეგ ლუჟნი და სერგეი რებროვი იზმირში არ ჩავლენ და თურქეთის ნაკრებთან დაგეგმილ ამხანაგურ მატჩს გამოტოვებენ. რებროვმა თქვა, „ფენერბაჰჩეში" ახალი გადასული ვარ და პრაქტიკა მაკლიაო. ლუჟნიმ კი დიდსულოვნად განაცხადა: „მე 34 წლის ვარ. უკრაინის ნაკრები ჩემი სიამაყეა, მაგრამ ვთვლი, რომ ამხანაგურ მატჩებში ახალგაზრდების გამოცდა უფრო უპრიანია. ლეონიდ ბურიაკს უკვე დავუავშირდი და შევუთანხმდი."**

შოტლანდიური „სელტიკი" შესაძლოა, ორი ფეხბურთელით გაძლიერდეს. ხორვატი მილან რაპაიჩის და სლოვაკი მცველის სტანისლავ ვარგას გუნდში ხილვის სურვილი მწვრთნელ მარტინ ონილს გამოუთქვამს. „მოლაპარაკებები მიმდინარეობს. იმედი გვაქვს, რაპაიჩიც და ვარგაც „სელტიკს" ახლა თუ არა, ზაფხულში მაინც შემოუერთდებიან" — ამბობს ონილი.

**ინგლისური „არსენალის" შვედი ნახევარმცველი ფრედერიკ ლიუნგბერგი დაშავდა. 26 წლის ფეხბურთელი 12 თებერვალს დაგეგმილ შვედეთი — ტუნისის ამხანაგურ მატჩსაც გამოტოვებს. გაირკვა, რომ ლიუნგბერგი ექვსი კვირით დაემშვიდობა ფეხბურთს. „სამწუხაროა. მე ნაკრებში თამაში მსურდა. ტომი სოდერბერგს უკვე ველაპარაკე. იმედი მაქვს, აღდგენითი პროცესები ნორმალურად ჩაივლის" — ფრედერიკ ლიუნგბერგი დაღონებულია.**

## იტალია

### სერია B. XXI ტური

**სიენა 1:0 ტრიესტინა**

1:0 მინანი (50)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სამპდორია | 21 | 9 | 9 | 3 | 29:18 | 36 |
| ტრიესტინა | 21 | 10 | 6 | 5 | 33:23 | 36 |
| სიენა | 21 | 9 | 9 | 3 | 24:16 | 36 |
| ანკონა | 21 | 9 | 8 | 4 | 31:25 | 35 |
| ვიჩენცა | 21 | 9 | 8 | 4 | 31:25 | 35 |
| ლივორნო | 21 | 10 | 4 | 7 | 26:17 | 34 |
| ლეჩე | 21 | 7 | 11 | 3 | 24:19 | 32 |
| პალერმო | 21 | 8 | 6 | 7 | 21:22 | 30 |
| კალიარი | 21 | 8 | 5 | 8 | 20:25 | 29 |
| მესინა | 21 | 7 | 7 | 7 | 31:28 | 28 |
| ასკოლი | 21 | 7 | 6 | 8 | 24:24 | 27 |
| ტერნანა | 21 | 7 | 6 | 8 | 22:24 | 27 |
| ვენეცია | 21 | 7 | 6 | 8 | 22:27 | 27 |
| ვერონა | 21 | 6 | 8 | 7 | 25:23 | 26 |
| ჯენოა | 21 | 6 | 7 | 8 | 26:25 | 25 |
| კატანია | 21 | 7 | 3 | 11 | 25:33 | 24 |
| ნაპოლი | 21 | 4 | 9 | 8 | 23:31 | 21 |
| ბარი | 21 | 3 | 11 | 7 | 16:20 | 20 |
| კოზენცა | 21 | 5 | 5 | 11 | 18:25 | 20 |
| სალერნიტანა | 21 | 3 | 4 | 14 | 14:35 | 13 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XIX ტური

**ტრირი 2:1 მაინცი**

1:0 ბრაჰამი (7), 1:1 ვორონინი (17), 2:1 ლაბაკი (29)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 18 | 11 | 7 | 0 | 38:18 | 40 |
| აინტრახტი | 19 | 10 | 5 | 4 | 29:15 | 35 |
| ფრაიბურგი | 18 | 10 | 4 | 4 | 27:16 | 34 |
| მაინცი | 19 | 10 | 3 | 6 | 29:18 | 33 |
| ტრირი | 19 | 9 | 4 | 6 | 33:24 | 31 |
| ალემანია | 18 | 8 | 6 | 4 | 32:23 | 30 |
| ფიურტი | 19 | 7 | 9 | 3 | 26:18 | 30 |
| ობერჰაუზენი | 18 | 8 | 5 | 5 | 22:19 | 29 |
| დუისბურგი | 18 | 7 | 6 | 5 | 26:24 | 27 |
| როიტლინგენი | 19 | 7 | 4 | 8 | 27:30 | 25 |
| ლიუბეკი | 19 | 7 | 2 | 10 | 30:31 | 23 |
| ბურგჰაუზენი | 19 | 5 | 7 | 7 | 27:24 | 22 |
| უნიონი | 19 | 5 | 7 | 7 | 22:35 | 22 |
| კარლსრუე | 19 | 4 | 8 | 7 | 18:28 | 20 |
| ალენი | 19 | 5 | 4 | 10 | 23:32 | 19 |
| ვალდჰოფი | 19 | 4 | 4 | 11 | 22:37 | 16 |
| ბრაუნშვაიგი | 18 | 2 | 5 | 11 | 19:38 | 11 |
| ზანკტ პაული | 19 | 2 | 4 | 13 | 26:46 | 10 |

## პორტუგალია

### I ლიგა. XX ტური

**ბენფიკა 1:1 მორეირენსე**

0:1 აგოსტინიუ (56), 1:1 სიმაო (79)

**გიმარაეში 1:0 სეტუბალი**

1:0 უგო ალკანტარა (48ს.კ.)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 20 | 17 | 3 | 0 | 45:16 | 54 |
| ბენფიკა | 20 | 12 | 5 | 3 | 38:15 | 41 |
| სპორტინგი | 19 | 12 | 1 | 6 | 32:22 | 37 |
| გიმარაეში | 20 | 10 | 5 | 5 | 35:24 | 35 |
| ჟილ ვისენტე | 20 | 10 | 2 | 8 | 32:30 | 32 |
| ლეირია | 20 | 9 | 4 | 7 | 31:27 | 31 |
| ვარზიმი | 20 | 8 | 3 | 9 | 25:24 | 27 |
| ბრაგა | 20 | 7 | 6 | 7 | 18:27 | 27 |
| ბელენენსეში | 20 | 7 | 5 | 8 | 23:27 | 26 |
| ბოავიშტა | 20 | 6 | 6 | 8 | 19:19 | 24 |
| ნასიონალი | 20 | 6 | 6 | 8 | 22:25 | 24 |
| მარიტიმუ | 20 | 7 | 2 | 11 | 24:35 | 23 |
| მორეირენსე | 20 | 5 | 7 | 8 | 22:26 | 22 |
| ფერეირა | 20 | 5 | 5 | 10 | 17:30 | 20 |
| აკადემიკა | 19 | 4 | 7 | 8 | 22:32 | 19 |
| სეტუბალი | 20 | 3 | 9 | 8 | 19:21 | 18 |
| სანტა კლარა | 20 | 3 | 7 | 10 | 22:33 | 16 |
| ბეირა მარი | 20 | 3 | 7 | 10 | 20:33 | 16 |




რეკლამა
სარბიელ–ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

### გერმანია. ბუნდესლიგა. XX ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ჰანზა-კოტბუსი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 18.30 | 002 | ჰანოვერი-ნიურნბერგი | 2,15 | 3,2 | 3,2 | 1,28 | 1,28 | 1,6 |
| 18.30 | 003 | ვერდერი-მიუნხენი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |
| 18.30 | 004 | ვოლფსბურგი-არმინია | 1,85 | 3,0 | 4,4 | 1,14 | 1,3 | 1,78 |
| 18.30 | 005 | ლაუტერნი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 18.30 | 006 | ჰერტა-შალკე | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 18.30 | 007 | ბოხუმი-ლევერკუზენი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 008 | ბაიერნი-ჰამბურგი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2,76 |
| | 009 | ბაიერნი-ჰამბურგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 20.30 | 010 | შტუტგარტი-დორტმუნდი | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა. XX ტური

**7 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | როიტლინგენი-ბრაუნშვაიგი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 22.00 | 012 | ბურგჰაუზენი-დუისბურგი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 22.00 | 013 | ვალდჰოფი-მაინცი | 3,0 | 3,1 | 2,3 | 1,52 | 1,3 | 1,32 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 014 | ობერჰაუზენი-უნიონი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 18.00 | 015 | სტ.პაული-ლიუბეკი | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 18.00 | 016 | ფრაიბურგი-ალენი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.00 | 017 | ფიურტი-აინტრახტი | 2,45 | 3,1 | 2,7 | 1,36 | 1,28 | 1,44 |
| 18.00 | 018 | კარლსრუე-ტრირი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |

**10 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 019 | კიოლნი-ალემანია | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |

### ინგლისი
### პრემიერლიგა. XXVII ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 021 | ლივერპული-მიდლსბრო | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | 022 | ლივერპული-მიდლსბრო 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,5 | | | |
| 19.00 | 023 | ბირმინგემი-ჩელსი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 19.00 | 024 | ბლეკბერნი-საუთჰემპტონი | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 19.00 | 025 | ჩარლტონი-ევერტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 19.00 | 026 | ფულემი-ასტონ ვილა | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 19.00 | 027 | ლიდსი-ვესტ ჰემი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 028 | ტოტენჰემი-სანდერლენდი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 029 | ტოტენჰემი-სანდერლენდი 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 19.00 | 030 | ვესტ ბრომვიჩი-ბოლტონი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 031 | მანჩესტერი-სიტი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 032 | მანჩესტერი-სიტი 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.05 | 033 | ნიუკასლი-არსენალი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |

### ინგლისი. I დივიზიონი. XXXI ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 035 | ბრაიტონი-ვულვერჰემპტონი | 3,3 | 3,3 | 2,05 | 1,64 | 1,26 | 1,26 |
| 19.00 | 036 | ქოვენტრი-ბარნლი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 037 | გრიმსბი-სტოკი | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| 19.00 | 038 | იფსვიჩი-შეფილდი | 2,2 | 3,3 | 3,0 | 1,32 | 1,26 | 1,57 |
| 19.00 | 039 | პორტსმუთი-დერბი | 1,6 | 3,5 | 5,3 | 1,09 | 1,22 | 2,1 |
| 19.00 | 040 | პრესტონი-მილუოლი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 19.00 | 041 | უენსდი-ნორვიჩი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 042 | უოლსოლი-ლესტერი | 3,0 | 3,3 | 2,2 | 1,57 | 1,26 | 1,32 |
| 19.00 | 043 | უოტფორდი-როტერჰემი | 1,75 | 3,4 | 4,2 | 1,15 | 1,23 | 1,87 |
| 19.00 | 044 | უიმბლდონი-ბრედფორდი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 21.35 | 045 | ნოტინგემი-კრისტალ პალასი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,25 | 1,81 |

**10 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 046 | რედინგი-ჯილინგემი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |

### ინგლისი
### II დივიზიონი. XXXI ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | ბრენტფორდი-ქრიუ | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 053 | ბრისტოლი-კოლჩესტერი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 19.00 | 054 | კარდიფი-ბარნსლი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | 055 | კარდიფი-ბარნსლი 0:1 | 1,95 | 3,2 | 2,6 | | | |
| 19.00 | 056 | ჩელტენემი-სტოკპორტი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 19.00 | 057 | ჩესტერფილდი-პიტერბრო | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 19.00 | 058 | მენსფილდი-ნოტსი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 19.00 | 059 | ნორთჰემპტონი-ქუინზ პარკი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 19.00 | 060 | ოლდემი-პლიმუთი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 061 | პორტ ვეილი-ლუტონი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 062 | ტრანმერი-სუინდონი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |
| 19.00 | 063 | უიგანი-ბლეკპული | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 19.00 | 064 | უიკომბი-ჰადერსფილდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

### ინგლისი. III დივიზიონი. XXXI ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 070 | ბოსტონი-სკანთორპი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 19.00 | 071 | ბორნმუთი-რექსემი | 1,95 | 3,1 | 3,8 | 1,19 | 1,28 | 1,7 |
| 19.00 | 072 | კემბრიჯი-შრიუსბერი | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| 19.00 | 073 | კარლაილი-კიდერმინსტერი | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 19.00 | 074 | დარლინგტონი-რაშდენი | 3,0 | 3,0 | 2,35 | 1,5 | 1,31 | 1,31 |
| 19.00 | 075 | ჰარტლპული-ექსეტერი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 76 | ჰარტლპული-ექსეტერი 0:1 | 2,05 | 3,2 | 2,45 | | | |
| 19.00 | 077 | ჰალი-ლინკოლნი | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 19.00 | 078 | ლეიტონი-იორკი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| 19.00 | 079 | მაკლსფილდი-სუონსი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 19.00 | 080 | როჩდეილი-ოქსფორდი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 19.00 | 081 | საუთენდი-როვერსი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 19.00 | 082 | ტორკი-ბერი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |

### იტალია. სერია "A". XX ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 083 | უდინეზე-პიაჩენცა | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.30 | 084 | იუვენტუსი-ემპოლი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 085 | იუვენტუსი-ემპოლი 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 086 | ბრეშა-კიევო | 2,5 | 3,0 | 2,7 | 1,36 | 1,29 | 1,42 |
| 18.00 | 087 | კომო-პარმა | 3,4 | 2,9 | 2,2 | 1,56 | 1,33 | 1,25 |
| 18.00 | 088 | ინტერი-რეჯინა | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | 089 | ინტერი-რეჯინა 0:1 | 1,5 | 3,6 | 3,6 | | | |
| 18.00 | 090 | ლაციო-ტორინო | 1,3 | 4,4 | 10,0 | 1 | 1,15 | 3,05 |
| | 091 | ლაციო-ტორინო 0:1 | 1,75 | 3,2 | 3,0 | | | |
| 18.00 | 092 | მოდენა-რომა | 3,2 | 3,0 | 2,25 | 1,54 | 1,32 | 1,28 |
| 18.00 | 093 | პერუჯა-მილანი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| 23.30 | 094 | ბოლონია-ატალანტა | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |

### იტალია. სერია "B". XXII ტური

**7 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 095 | ჯენოა-კატანია | 1,8 | 2,8 | 5,0 | 1,09 | 1,32 | 1,79 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 096 | ასკოლი-ბარი | 1,95 | 2,7 | 4,6 | 1,13 | 1,36 | 1,7 |
| 18.00 | 097 | ლივორნო-ვერონა | 1,75 | 2,8 | 5,6 | 1,07 | 1,33 | 1,86 |
| 18.00 | 098 | მესინა-სიენა | 2,35 | 2,6 | 3,4 | 1,23 | 1,38 | 1,47 |
| 18.00 | 099 | ნაპოლი-კალიარი | 1,85 | 2,8 | 4,8 | 1,11 | 1,33 | 1,76 |
| 18.00 | 100 | პალერმო-ანკონა | 2,2 | 2,6 | 3,8 | 1,19 | 1,39 | 1,54 |
| 18.00 | 101 | ტერნანა-სალერნიტანა | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 18.00 | 102 | ვენეცია-ტრიესტინა | 2,7 | 2,6 | 2,9 | 1,32 | 1,39 | 1,37 |
| 18.00 | 103 | ვიჩენცა-კოზენცა | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

**10 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 104 | ლეჩე-სამპდორია | 2,4 | 2,5 | 3,4 | 1,22 | 1,4 | 1,44 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. XXI ტური

**8 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.15 | 126 | ვილიარეალი-ვალიადოლიდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 00.30 | 127 | რეალი-ბეტისი | 1,5 | 3,5 | 7,0 | 1,04 | 1,23 | 2,33 |

**9 თებერვალი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 128 | დეპორტივო-ოსასუნა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 129 | დეპორტივო-ოსასუნა 0:1 | 2,1 | 3,2 | 2,4 | | | |
| 20.00 | 130 | მალიორკა-სელტა | 2,2 | 3,1 | 3,2 | 1,28 | 1,3 | 1,57 |
| 20.00 | 131 | რაიო-მალაგა | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| 20.00 | 132 | სოსიედადი-ესპანიოლი | 1,5 | 3,6 | 6,5 | 1,05 | 1,21 | 2,31 |
| 20.00 | 133 | უელვა-ვალენსია | 3,8 | 3,2 | 1,9 | 1,73 | 1,26 | 1,19 |
| 20.00 | 134 | რასინგი-ალავესი | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 22.00 | 135 | სევილია-ატლეტიკო | 2,35 | 3,1 | 2,9 | 1,33 | 1,29 | 1,49 |
| 23.30 | 136 | ბარსელონა-ბილბაო | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი. XXII ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 21.30 | 137 | ფეროლი-ლას პალმასი | 2,45 | 2,7 | 3,1 | 1,28 | 1,36 | 1,44 |
| 21.30 | 138 | კორდობა-სარაგოსა | 3,0 | 2,8 | 2,45 | 1,44 | 1,34 | 1,3 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 15.00 | 139 | ლევანესი-ბადახოსი | 1,85 | 2,9 | 4,6 | 1,12 | 1,31 | 1,77 |
| 15.00 | 140 | სერესი-ელჩე | 2,3 | 2,7 | 3,4 | 1,24 | 1,37 | 1,5 |
| 20.00 | 141 | ალბასეტე-ტერასა | 1,85 | 2,7 | 5,0 | 1,09 | 1,35 | 1,75 |
| 20.00 | 142 | სალამანკა-ალმერია | 2,05 | 2,8 | 4,0 | 1,18 | 1,35 | 1,64 |
| 20.00 | 143 | სპორტინგი-ნუმანსია | 1,75 | 2,9 | 5,3 | 1,09 | 1,31 | 1,87 |
| 20.00 | 144 | ლევანტე-ხეტაფე | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 20.00 | 145 | მურსია-ოვიედო | 1,6 | 3,2 | 6,5 | 1,06 | 1,28 | 2,14 |
| 20.00 | 146 | ეხიდო-ეიბარი | 1,8 | 2,9 | 4,8 | 1,11 | 1,3 | 1,8 |
| 21.00 | 147 | ტენერიფე-კომპოსტელა | 1,9 | 2,8 | 4,4 | 1,13 | 1,32 | 1,71 |
| | | **საფრანგეთი. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 21.00 | 149 | სედანი-ოსერი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| 23.30 | 150 | სოშო-აიაჩო | 1,65 | 3,2 | 5,6 | 1,08 | 1,27 | 2,03 |
| 23.30 | 151 | ლანსი-ბორდო | 2,1 | 3,0 | 3,5 | 1,23 | 1,31 | 1,61 |
| 23.30 | 152 | მარსელი-ლე ავრი | 1,55 | 3,4 | 6,5 | 1,06 | 1,25 | 2,23 |
| 23.30 | 153 | გენგამი-ლილი | 2,0 | 3,0 | 3,8 | 1,2 | 1,31 | 1,67 |
| 23.30 | 154 | ტრუა-ნიცა | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 23.30 | 155 | ბასტია-პსჟ | 2,25 | 3,1 | 3,1 | 1,3 | 1,3 | 1,54 |
| 23.30 | 156 | ნანტი-რენი | 1,7 | 3,2 | 5,0 | 1,11 | 1,26 | 1,95 |
| 23.30 | 157 | მონპელიე-სტრასბური | 2,3 | 3,0 | 3,1 | 1,3 | 1,32 | 1,52 |
| | | **საფრანგეთი. II დივიზიონი. XXV ტური** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 173 | ნანსი-კლერმონი | 1,9 | 3,1 | 4,0 | 1,17 | 1,28 | 1,74 |
| 23.30 | 174 | კაენი-გრენობლი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 23.30 | 175 | კრეტეი-გენიონი | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 23.30 | 176 | ლე მანი-ისტრი | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | 177 | ლე მანი-ისტრი 0:1 | 2,15 | 3,1 | 2,4 | | | |
| 23.30 | 178 | ნიორი-ლორიანი | 2,15 | 3,1 | 3,3 | 1,26 | 1,3 | 1,59 |
| 23.30 | 179 | ვალანსი-ამიენი | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 23.30 | 180 | ვასკეალი-მეცი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 181 | სტ.ეტიენი-ტულუზი | 2,7 | 2,8 | 2,7 | 1,37 | 1,35 | 1,37 |
| | | **პორტუგალია. I ლიგა გადადებული მატჩი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 195 | სპორტინგი-აკადემიკა | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 196 | სპორტინგი-აკადემიკა 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | | |
| | | **პორტუგალია. I ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 01.00 | 197 | სანტა კლარა-ბოავიშტა | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22.15 | 198 | ლეირია-ბენფიკა | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| 01.15 | 199 | ვარზიმი-სპორტინგი | 3,6 | 3,1 | 2,0 | 1,66 | 1,28 | 1,21 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 200 | მორეირენსე-ბრაგა | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 20.00 | 201 | აკადემიკა-ჟილ ვისენტე | 2,4 | 3,1 | 2,8 | 1,35 | 1,29 | 1,47 |
| 20.00 | 202 | სეტუბალი-მარიტიმუ | 2,05 | 3,3 | 3,3 | 1,26 | 1,26 | 1,64 |
| 20.00 | 203 | ნასიონალი-ბეირა მარი | 1,75 | 3,2 | 4,6 | 1,13 | 1,26 | 1,88 |
| 22.00 | 204 | ფერეირა-ბელენენსეში | 2,1 | 3,2 | 3,3 | 1,26 | 1,28 | 1,62 |
| 00.15 | 205 | პორტუ-გიმარაეში | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 206 | პორტუ-გიმარაეში 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **პორტუგალია. II ლიგა. XXI ტური** | | | | | | |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 207 | ლამაში-სალგეირუში | 2,7 | 3,0 | 2,5 | 1,42 | 1,29 | 1,36 |
| 19.00 | 208 | ლეცა-ავეში | 2,45 | 3,0 | 2,8 | 1,34 | 1,3 | 1,44 |
| 19.00 | 209 | მარკუ-კოვილია | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 20.00 | 210 | მადეირა-ამდორა | 2,7 | 2,9 | 2,6 | 1,39 | 1,32 | 1,37 |
| 20.00 | 211 | მაია-ფარენსე | 1,85 | 3,1 | 4,2 | 1,15 | 1,28 | 1,78 |
| 20.00 | 212 | ფელგეირაში-შავეში | 2,3 | 2,9 | 3,2 | 1,28 | 1,33 | 1,52 |
| 20.00 | 213 | პორტიმონენსე-ნავალი | 2,1 | 2,9 | 3,6 | 1,21 | 1,32 | 1,6 |
| 20.00 | 214 | პენაფიელი-ალვერკა | 2,35 | 2,9 | 3,1 | 1,29 | 1,33 | 1,49 |
| 20.00 | 215 | რიუ ავე-ოვარენსე | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 216 | ზვოლე-ტილბურგი | 2,5 | 3,3 | 2,45 | 1,42 | 1,23 | 1,4 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 217 | როდა-ვიტესი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| 22.30 | 218 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,7 | 3,5 | 4,4 | 1,14 | 1,22 | 1,94 |
| 22.30 | 219 | ვალვაიკი-პსვ | 4,4 | 3,5 | 1,7 | 1,94 | 1,22 | 1,14 |
| 22.30 | 220 | როზენდალი-გრააფსხაპი | 1,8 | 3,4 | 3,8 | 1,17 | 1,22 | 1,79 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 221 | აიაქსი-ფეიენოორდი | 1,7 | 3,4 | 4,6 | 1,13 | 1,24 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17.30 | 222 | ნაიმეგენი-ბრედა | 2,4 | 3,3 | 2,6 | 1,38 | 1,24 | 1,45 |
| 17.30 | 223 | უტრეხტი-ექსელსიორი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 17.30 | 224 | გრონინგენი-ტვენტე | 2,3 | 3,3 | 2,8 | 1,35 | 1,26 | 1,51 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 228 | ოსი-ვეენდამი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| 23.00 | 229 | მაასტრიხტი-ეინდჰოვენი | 2,3 | 3,4 | 2,7 | 1,37 | 1,24 | 1,5 |
| 23.00 | 230 | სიტარდი-სპარტა | 2,6 | 3,4 | 2,35 | 1,47 | 1,23 | 1,38 |
| 23.00 | 231 | ემენი-ვოლენდამი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2.02 |
| 23.00 | 232 | ჰერაკლესი-ვენლო | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2.76 |
| | 233 | ჰერაკლესი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 23.00 | 234 | დენ ჰააგი-დორდრეხტი | 1,35 | 4,0 | 9,0 | 1 | 1,17 | 2.76 |
| | 235 | დენ ჰააგი-დორდრეხტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 22.30 | 236 | კამბური-ჰაარლემი | 1,65 | 3,5 | 4,8 | 1,12 | 1,22 | 2,02 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 237 | ტელსტარი-დენ ბოსხი | 2,6 | 3,3 | 2,4 | 1,45 | 1,24 | 1,38 |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 238 | ჰელმონდი-იგლსი | 2,1 | 3,4 | 3,1 | 1,29 | 1,25 | 1,62 |
| | | **ბელგია. I დივიზიონი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 239 | გენკი-მუსკრონი | 1,6 | 3,6 | 5,0 | 1,1 | 1,21 | 2,09 |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 23.00 | 240 | ლუვიე-ლოკერენი | 3,1 | 3,3 | 2,15 | 1,59 | 1,26 | 1,3 |
| 23.00 | 241 | ანტვერპენი-შარლერუა | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 23.00 | 242 | მეხელენი-ბრიუგე | 9,0 | 5,3 | 1,15 | 3,33 | 1.01 | 1 |
| 23.00 | 243 | ვესტერლო-ლიერსი | 3,1 | 3,2 | 2,2 | 1,57 | 1,28 | 1,3 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 16.00 | 244 | გენტი-ანდერლეხტი | 2,7 | 3,2 | 2,4 | 1,46 | 1,27 | 1,37 |
| 18.00 | 245 | ლომელი-ბეერსხოტი | 2,35 | 3,3 | 2,7 | 1,37 | 1,25 | 1,48 |
| 18.00 | 246 | ბევერენი-სტ.ტრუიდენი | 3,8 | 3,3 | 1,85 | 1,76 | 1,24 | 1,18 |
| 18.00 | 247 | სტანდარდი-მონსი | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1.1 | 1,19 | 2.21 |
| | | **თურქეთი. XIX ტური** | | | | | | |
| | | **7 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 269 | გალათასარაი-დენიზლი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | 270 | გალათასარაი-დენიზლი | 0:1 | 1,65 | 3,3 | 3,3 | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 271 | გიოზთეფე-ალთაი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| 15.30 | 272 | გაზიანთეფი-მალათია | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 15.30 | 273 | ბურსა-სამსუნი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 21.00 | 274 | ქოჯაელი-ბეშიქთაში | 5,0 | 3,6 | 1,6 | 2,09 | 1,21 | 1,1 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 15.30 | 275 | ისთანბული-გენჩლერბირლიგი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 15.30 | 276 | დიარბაქირი-ადანა | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 15.30 | 277 | ტრაბზონი-ელაზიგი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| | 278 | ტრაბზონი-ელაზიგი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,7 | | | |
| 21.00 | 279 | ანკარაგიუჯიუ-ფენერბაჩე | 3,1 | 3,2 | 2,25 | 1,57 | 1,3 | 1,32 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **8 თებერვალი** | | | | | | |
| 16.30 | 280 | დანფერმლაინი-რეინჯერსი | 7,5 | 4,0 | 1,4 | 2,6 | 1,17 | 1,03 |
| 19.00 | 281 | აბერდინი-პარტიკი | 1,9 | 3,2 | 3,8 | 1,19 | 1,26 | 1,73 |
| 19.00 | 282 | ჰართსი-კილმარნოკი | 1,85 | 3,3 | 3,8 | 1,18 | 1,24 | 1,76 |
| 19.00 | 283 | მოზერუელი-ჰიბერნიანი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| | | **9 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 284 | სელტიკი-ლივინგსტონი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | 285 | სელტიკი-ლივინგსტონი 0:1 | 1,4 | 3,8 | 4,2 | | | |
| 19.00 | 286 | დანდი იუნაიტედი-დანდი | 2,6 | 3,0 | 2,6 | 1,39 | 1,29 | 1,39 |
| | | **გერმანია. თასი. ¼ ფინალი.** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 22.00 | 309 | ბოხუმი-კაიზერსლაუტერნი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 22.30 | 310 | უნტერჰახინგი-ლევერკუზენი | 4,8 | 3,5 | 1,65 | 2,02 | 1,22 | 1,12 |
| 23.20 | 311 | მიუნხენი-ვერდერი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| | | **ინგლისი. თასი. IV წრე. გადათამაშება** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 313 | მილუოლი-საუთჰემპტონი | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 24.00 | 314 | სანდერლენდი-ბლექბერნი | 2,6 | 3,2 | 2,45 | 1,43 | 1,26 | 1,38 |
| 24.00 | 315 | ლივერპული-კრისტალ პალასი | 1,25 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,11 | 3,33 |
| | | **იტალია. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 23.45 | 316 | ლაციო-რომა | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 317 | პერუჯა-მილანი | 2,8 | 3,1 | 2,4 | 1,47 | 1,29 | 1,35 |
| | | **ესპანეთი. თასი. ½ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 318 | დეპორტივო-მალიორკა | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 00.30 | 319 | ულვა-ოსასუნა | 2,35 | 3,0 | 3,0 | 1,31 | 1,31 | 1,5 |
| | | **ჰოლანდია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 17.30 | 322 | დენ ჰააგი-პსვ | 5,3 | 3,8 | 1,55 | 2,21 | 1,19 | 1,1 |
| 22.30 | 323 | გრონინგენი-ჰაარლემი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.30 | 324 | ექსელსიორი-აიაქსი 2 | 1,55 | 3,8 | 5,3 | 1,1 | 1,19 | 2,21 |
| 23.00 | 325 | ფეიენოორდი-აპელდორნი | 1,03 | 10,0 | 30,0 | 1 | 1 | 7,5 |
| 23.45 | 326 | აიაქსი-როდა | 1,3 | 4,6 | 9,0 | 1,01 | 1,13 | 3,04 |
| | | **ბელგია. თასი. ¼ ფინალი. II ეტაპი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 328 | ლომელი-ბრიუგე | 5,6 | 3,6 | 1,55 | 2,19 | 1,21 | 1,08 |
| 23.30 | 329 | ლიევი-სტანდარდი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| 24.00 | 330 | ბეერსხოტი-ანტვერპენი | 2,25 | 3,3 | 2,9 | 1,33 | 1,26 | 1,54 |
| | | **საბერძნეთი. თასი. ¼ ფინალი. I ეტაპი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 19.00 | 331 | პანიონიოსი-აეკ | 2,9 | 3,0 | 2,4 | 1,47 | 1,31 | 1,33 |
| 21.00 | 332 | პანათინაიკოსი-ეგალეო | 1,2 | 5,3 | 12,5 | 1 | 1,09 | 3,72 |
| | | **შოტლანდია. თასი. III წრე. გადათამაშება** | | | | | | |
| | | **10 თებერვალი** | | | | | | |
| 23.30 | 333 | სტრანრარი-ფორფარი | 2,2 | 3,4 | 2,9 | 1,33 | 1,25 | 1,56 |
| | | **შოტლანდია. ლიგის თასი** | | | | | | |
| | | **½ ფინალი. (ნეიტრალურზე)** | | | | | | |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 24.00 | 339 | სელტიკი-დანდი იუნაიტედი | 1,15 | 6,0 | 14,0 | 1 | 1,06 | 4,19 |
| | | **ლიბერტადორესის თასი** | | | | | | |
| | | **5 თებერვალი** | | | | | | |
| 01.05 | 341 | 12 დე ოქტუბრე-ელ ნასიონალი | 1,7 | 3,3 | 4,8 | 1,12 | 1,25 | 1,95 |
| 03.40 | 342 | კორინთიანსი-კრუს ასული | 1,6 | 3,4 | 5,6 | 1,08 | 1,24 | 2,11 |
| 06.05 | 343 | ამერიკა დე კალი-სანტოსი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| | | **6 თებერვალი** | | | | | | |
| 02.05 | 344 | ბარსელონა-კოლო კოლო | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 04.10 | 345 | სერო პორტენიო-კატოლიკა | 1,65 | 3,4 | 5,0 | 1,11 | 1,24 | 2,02 |

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

**08.02 18.30 2601 გერმანია ბლ. (XX ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**08.02 16.30 2602 ინგლისი პლ. (XXVII ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**08.02 21.00 2603 იტალია "A" (XX ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**08.02 23.15 2604 ესპანეთი Iდ. (XXI ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**08.02 20.15 2606 საფრანგეთი Iდ. (XXVII ტური)**
**22 ან ნაკლები – 1,9, 24 ან მეტი – 1,9**
**07.02 01.00 2607 პორტუგალია Iლ. (XXI ტური)**
**23 ან ნაკლები – 1,9, 25 ან მეტი – 1,9**
**07.02 23.00 2608 ჰოლანდია (XIX ტური)**
**25 ან ნაკლები – 1,9, 27 ან მეტი – 1,9**
**07.02 23.30 2609 ბელგია Iდ. (XXI ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**
**07.02 22.00 2610 თურქეთი (XIX ტური)**
**26 ან ნაკლები – 1,9, 28 ან მეტი – 1,9**


# სამ თბილისურ ბიუროში

კონსტანტინე გამსახურდიას გამზირი № 3;

ვაჟა ფშაველას გამზირი №46 (მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან", ყოფილი „დელისი");

დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი

კროკომ უქმეებზე სამუშაო დრო გაახანგრძლივა

შაბათი 12.00–21.30 კვირა 12.00–20.30


# კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## ჩემპიონები და თასის ალება

**ჩემპიონთა თასი**
**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 001 | რეალი | 5,0 |
| 002 | მანჩესტერი | 5,0 |
| 003 | მილანი | 5,0 |
| 004 | არსენალი | 6,0 |
| 005 | იუვენტუსი | 7,0 |
| 006 | ბარსელონა | 7,0 |
| 007 | ინტერი | 7,0 |
| 008 | ვალენსია | 8,0 |
| 009 | დეპორტივო | 20,0 |
| 010 | დორტმუნდი | 20,0 |
| 011 | აიაქსი | 25,0 |
| 012 | რომა | 40,0 |
| 013 | ლევერკუზენი | 75,0 |
| 014 | ნიუკასლი | 75,0 |
| 015 | ლოკომოტივი | 250,0 |
| 016 | ბაზელი | 500,0 |

**უეფას თასი**
**20 თებერვალი (21.15)**

| | | |
|---|---|---|
| 021 | ლაციო | 3,0 |
| 022 | ლივერპული | 3,0 |
| 023 | პერტა | 8,0 |
| 024 | პორტუ | 10,0 |
| 025 | სელტიკი | 10,0 |
| 026 | მალაგა | 10,0 |
| 027 | პანათინაიკოსი | 15,0 |
| 028 | ისერი | 15,0 |
| 029 | შტუტგარტი | 15,0 |
| 030 | ანდერლეხტი | 15,0 |
| 031 | აეკ | 15,0 |
| 032 | ბეშიქთაში | 20,0 |
| 033 | სლავია | 30,0 |
| 034 | ბოავიშტა | 30,0 |
| 035 | დენიზლი | 50,0 |
| 036 | ვისლა | 50,0 |

**შვეიცარია. A ლიგა**
**22 თებერვალი (17.30)**

| | | |
|---|---|---|
| 161 | ბაზელი | 1,6 |
| 162 | გრასჰოპერი | 2,0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**
**22 თებერვალი (18.30)**

| | | |
|---|---|---|
| 171 | აუსტრია | 1,01 |
| 172 | შტურმი | 15,0 |
| 173 | რაპიდი | 15,0 |
| 174 | პაშინგი | 15,0 |

**რომელი ქვეყნის კლუბი აიღებს ჩემპიონთა თასს**
**18 თებერვალი (23.45)**

| | | |
|---|---|---|
| 181 | ესპანეთი | 2,0 |
| 182 | ინგლისი | 2,5 |
| 183 | იტალია | 2,5 |
| 184 | გერმანია | 15,0 |


სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, ჩვენ კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.


## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან" (ყოფილი „დელისი") |
| | ნინოშვილის/მიქელაძის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან" |
| | წერეთლის გამზირი, კორპუსი №11 | |
| | ქავთარაძის გამზირი № 41 | |
| | გამსახურდიას გამზირი № 3 | |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №91 | |
| | იოანე პეტრიწის ქუჩა №13 | ძველი დიღომი, მეორე მიკრორაიონი |
| | ხუდადოვის ქუჩა №4 | |
| | დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი | |
| | ვარკეთილი, კალოუბნის „აბ" კორპუსი №48 | |
| | მელიქიშვილის ქუჩა №15 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა №16 | ტელეკომპანია „იმერეთის" შენობაში |
| | წერეთლის/ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| | ჭავჭავაძის № 67 | ცენტრალური ავტოსადგური |
| გორი | ცხინვალის გზატკეცილი №11 | წმინდანების სახელობის |
| | სტალინის ქუჩა №14 | |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | მარჯანიშვილის ქუჩა №7 | |
| | კოსტავას გამზირი №23 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №66 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| | ალმაშენებლის ქუჩა № 21 | (სავაჭრო ცენტრი ალაში 1) |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 13 | |
| ხელვაჩაური | ალმაშენებლის ქუჩა № 50 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |
| ზუგდიდი/ზურჯაანი | დავით გურამიშვილის ქუჩა №26 | |
| ფოთი | რკალი, რუსთაველის №18 | |
| საგარეჯო | დავით აღმაშენებლის №30 | |
| სამტრედია | რუსთაველის გამზირი №27 | |
| ხაშური | რუსთაველის ქუჩა №16 | |
| ცნორი | სტალინის ქუჩა №1 | |
| ბორჯომი | რუსთაველის ქუჩა №145 | |
| ზესტაფონი | გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6 | |
| ახალციხე | ნათენაძის ქუჩა №7 | |
| ქობულეთი | სასტუმრო „ივერიას" მიმდებარე ტერიტორია | |
| სარფი | საბაჟო პუნქტის მიმდებარე | |

„დენვერის“ მწვრთნელ ჯეფ ბზდელიკს შაბათ საღამოს იმ მამის ამაყი ღიმილი აღბეჭდოდა სახეზე, ვისმა შვილმაც ეს-ესაა წარმატებით გადაიტანა თავისი პირველი ბრძოლა. ჩალურჯებული თვალი პროგრესის ნიშანია...



ნიკა ცქიტიშვილი ორთაბრძოლებს აღარ გაურბის

## კარგი ამბავი ამერიკიდან
# ნიკა ცქიტიშვილს თვალი ჩაულურჯეს

„დენვერის“ ახალბედა ნიკოლოზ ცქიტიშვილმა კვირას ჩალურჯებული თვალით გაიღვიძა, რაც დალასელი დირკ ნოვიცკის „დამსახურებაა“, ვისაც ხშირად ადარებენ „სკიტას“. „ჩვენ წინ მივიწევთ. უკვე თვალიც ჩაგვილურჯდა, ეს კარგის ნიშანია — თქვა ბზდელიკმა კვირას საღამოს „მემფისთან“ მატჩის წინ — ეს იმას ნიშნავს, რომ ცქიტიშვილი უკვე იქ ყოფს ცხვირს, სადაც საჭიროა.“

შარშანდელ დრაფტზე მე-5 ნომრად არჩეულმა ცქიტიშვილმა შაბათს კარიერაში სარეკორდო, 15 ქულა ჩააგდო „დალასთან“ მატჩში, რომელიც „დენვერმა“ 100:122 წააგო.

იმის მიუხედავად, რომ ცქიტიშვილს დირკ ნოვიცკი იჭერდა, შვიდფუტიანმა ქართველმა საკმაოდ შედეგიანად ითამაშა. „სკიტა“ ბევრ პრობლემას უქმნიდა დალასელებს, რაშიც მას თავისი ფანტასტიკური მონაცემები ეხმარებოდა. ხშირად შედიოდა ფარქვეშ, პერიმეტრიდან კი ერთ-ერთი საუკეთესო იყო დენვერელთაგან.

სამართლიანია თუ არა, ცქიტიშვილს უფრო და უფრო ხშირად ადარებენ ნოვიცკის. მისი მომრავლებული სისხლნაჟღენთები კი იმას ნიშნავს, რომ „სკიტა“ ხშირად ებმება ხოლმე ისეთ ბრძოლებში, საიდანაც თუ გამარჯვებული გამოვა, ნოვიცკობამდეც არაა შორი.

„დალასთან“ მატჩამდე ცქიტიშვილს ბოლო 25 ნასროლიდან 21 აეცილებინა, იგი ხშირად იბნეოდა და ორიენტაციას კარგავდა დაცვაში. „მემფისთანაც“ საკვირაო მატჩში მან მხოლოდ 2 ქულა ჩააგდო 10 წუთში.

ამ სეზონში ცქიტიშვილი არცთუ კარგად ესვრის. პერიმეტრს გარედან მას სროლათა 25,6 პროცენტი ჩაუგდია, შიგნიდან კი — 31,8 პროცენტი. მისდა სასახელოდ, „სკიტა“ არასდროს ცდილობს ჩაგდებული მატჩის შემდეგ თავის მართლებას. იგი დარწმუნებულია თავის თავში: „მე ჩემს წარმატებაში დარწმუნებული ვარ. შედეგიანობის ამაღლება დროის საქმეა, გამოცდილებას შევიძენ და ყველაფერი კარგად იქნება“.

ცქიტიშვილს ტელევიზორით მოუწევს ახალბედათა „ოლ სტარის“ ყურება, რომელშიც მისი თანაგუნდელი და მეგობარი, ბრაზილიელი ნენე ილარიო ითამაშებს. დრაფტის პირველ ათეულში არჩეულთაგან ცქიტიშვილთან ერთად „ოლ სტარში“ ვერ მოხვდნენ გოლდენსტეიტელი მაიკ დანლივი და კლიპერსელი კრის ვილკოქსი.

„არ ვნაღვლობ — ამბობს ცქიტიშვილი — ყველას სურს ახალბედების „ოლსტარში“ თამაში და ეს ბუნებრივია, მაგრამ ჩემთვის ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, უფრო მეტიც, ეს არაფერია. მთავარი ამბავი ნაღდ „ოლ სტარში“, ნამდვილ ვარსკვლავურ მატჩში მონაწილეობაა. იქ მოსახვედრად მოთმინება და შრომაა საჭირო.“

დენვერელებს პლეი ოფში გასვლის რეალური შანსი არ გააჩნიათ, ამიტომაც ცქიტიშვილისთვის კიდევ უფრო მეტ სათამაშო წუთებს გაიღებენ. გუნდის პრეზიდენტ კიკი ვანდევეიჯს ხომ გამოუცდელი ბავშვებისაგან პროფესიონალთა გამოზრდა განუზრახავს — ილარიო, ცქიტიშვილი, ვაიტი, ჰარინგტონი, აროზრი — „დენვერის“ მერმისია.

ჩამოთვლილ ხუთ ახალგაზრდას შორის ცქიტიშვილი ყველაზე უხეირო შემტევია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ვინმეზე ნაკლებია, დარჩენილ მატჩებში ცქიტიშვილი ხშირად გავა მოედანზე.

„ვცდილობთ, ცქიტიშვილი ნელ-ნელა შევაჩვიოთ ნბა-ს. ამ საქმეს დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ — ამბობს ვანდევეიჯი — არსებობს მოსაზრება, რომ ბევრი თამაშით შეიძლება კალათბურთელს თვითრწმენა დავუკარგოთ, თუ მას კარგად არ გამოსდის. მე კი მგონია, რომ ბევრი თამაშით ცქიტიშვილს მხოლოდ შეემატება თვითრწმენა.“

**აარონ ლოპესი „როკი მაუნთინი“**

### საუკეთესო ახალგაზრდა მექულეები

| | | |
|---|---|---|
| 1 | დუეუან ვაგნერი* (კლივლენდი) | 14,5 |
| 2 | კერონ ბატლერი* (მაიამი) | 14,1 |
| 3 | იაო მინგი (ჰიუსტონი) | 13,0 |
| 4 | ამარე სტუდემაიერი* (ფინიქსი) | 12,9 |
| 5 | დრიუ გუდენი* (მემფისი) | 12,6 |
| 6 | გორდან გირიჩეკი* (მემფისი) | 11,2 |
| 7 | ნენე ილარიო* (დენვერი) | 9,4 |
| 8 | ჯეი უილიამსი* (ჩიკაგო) | 9,2 |
| 9 | კარლოს ბუზერი* (კლივლენდი) | 8,7 |
| 10 | მარკო იარიჩი (კლიპერსი) | 7,3 |
| 11 | ვინსენტ იარბრო (დენვერი) | 6,5 |
| 12 | რაშუალ ბატლერი (მაიამი) | 6,4 |
| 16 | ემანუელ ჯინობილი* (სან ანტონიო) | 5,5 |
| 18 | მეჰმედ ოქური (დეტროიტი) | 5,1 |
| 19 | ლორინზა ჰარინგტონი (დენვერი) | 4,7 |
| 20 | მაიკ დანლივი (გოლდენ სტეიტი) | 4,7 |
| 25 | ნიკა ცქიტიშვილი (დენვერი) | 3,5 |

*ვარსკვლავით აღნიშნულია ის მოთამაშეები, რომლებიც 8 თებერვალს ახალბედების „ოლ სტარში“ ითამაშებენ; იაო მინგი ითამაშებს დიდების „ოლ სტარში“*

*საქართველოს ნაკრების კაპიტანი ვახტანგ ნაცვლიშვილი კვირას პორტუგალიის ლიგის თასის მფლობელი გახდა. მისმა „ოლივეირენშემ“ დრამატულ ფინალში დაამარცხა ლისაბონის „ტელეკომი“ და კლუბის ისტორიაში პირველი ტიტული მოიგო. ეს წარმატება ოლივეირენშელებს ორმაგად უღირთ, მათ ხომ შარშანდელი ჩემპიონატის ფინალში მათ მძლეველ „ტელეკომს“ აართვეს თასი. ნაცვლიშვილი ფინალის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშე იყო, 22 ქულითა და 10 მოხსნით ვატომ ტელეკომელთა ნაქცევაში ლომის წილი დაიდო. დანარჩენს ის თავად გვიამბობს...*

# ნაცვლიშვილმა და ოლივეირენშემ თასი „მალაკოთი“ მოიგეს

— ლიგის თასის გათამაშებას, რომელშიც პორტუგალიის რვა საუკეთესო გუნდი მონაწილეობდა, საკურორტო ქალაქ ალბარმა უმასპინძლა. ფინალამდე „ბენფიკა“ და „სეიშალი“ დავამარცხეთ, გადამწყვეტ მატჩში კი „ტელეკომს“ მოვუგეთ. „ოლივეირენშესთვის“ ეს პირველი ტიტულია, აქამდე შვიდჯერ ყოფილა პორტუგალიის ლიგის თასის ფინალში და შვიდჯერვე წაუგია. „ოლივეირენშე“ არც ჩემპიონი ყოფილა — შარშან სწორედ „ტელეკომმა“ დაგვამარცხა პლეი ოფის გადამწყვეტ სერიაში და ამ მატჩს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებდით. იმ წაგებისთვის ტელეკომელებზე შური კი ვიძიეთ, ჩემპიონატის მატჩში 14 ქულით მოვუგეთ, მაგრამ ლიგის თასის ფინალში მათ დამარცხებას სულ სხვა გემო ჰქონდა.

**— ფინალურ მატჩში თავი გისახელებია...**

— ფაქტობრივად, მე და ჩვენმა ცენტრმა დაგ მუსმა მოვიგეთ ეს მატჩი. ჯამში 50 ქულა დავაგროვეთ, ჩემს ანგარიშზე 22 იყო. ძალიან დაძაბული თამაში გამოვიდა, ორი ოვერტაიმი დასჭირდა გამარჯვებულის გარკვევას. თავიდან 0:7 ჩამოვრჩით, თუმც მალლებმა მალე გამოვასწორეთ მდგომარეობა და თითქოს ოვერტაიმიც არ იყო მოსალოდნელი, ისე უნდა მოგვეგო, მაგრამ ჩვენმა გამთამაშებელმა, რომელიც საჯარიმოს ხაზიდან არასდროს ცდება, ძირითადი დროის დასრულებამდე წამით ადრე ორიდან მხოლოდ ერთი სროლა ჩააგდო და... პირველ ოვერტაიმში მეც გავვარდი და მუსიც, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდა — 104:99 გავიმარჯვეთ.

**— საუკეთესოდ ვინ დაასახელეს?**

— შედეგიანობის გათვალისწინებით მუსი გახდა ფინალის საუკეთესო მოთამაშე, მაგრამ მხოლოდ ქულები ხომ არაა...

**— რას გულისხმობ?**

— მუსმა კარგად ითამაშა და საუკეთესოობასაც იმსახურებდა, მაგრამ მას ერთი ისეთი იაღლიში მოუვიდა, მთელი დარბაზი ახარხარა. ძირითადი დროის დასრულებამდე 10 წამით ადრე 2 ქულას ვიგებდით, როცა ფარქვეშ მდგომ მუსს პასი მივაწოდე. ხელს არავინ უშლიდა და რომ ჩაეგდო, ყველაფერს წერტილს დაუსვამდა, მაგრამ მისი ნასროლი ბურთი კალათს საერთოდ არ შეხებია. ასე უხეირო სროლა არასდროს მინახავს. მთელი დარბაზი სიცილით დაიხოცა.

**— ერთი ტიტული უკვე მოიგეთ და თუ ასე გააგრძელეთ, არც ჩემპიონობაა შორს...**

— ჩემპიონობა ჩვენი მთავარი მიზანია. ჯერჯერობით კარგად მიგვდის საქმეები, 12 მატჩიდან 11 მოვიგეთ და ვლიდერობთ. ის ერთადერთი მატჩი მესამე ადგილზე მყოფ „ავეიროსთან“ წავაგეთ სტუმრად. ახლა შარშანდელზე გაცილებით ძლიერები ვართ და ჩემპიონობაც უფრო რეალურია.

**— შარშან საკმაოდ შედეგიანი იყავი, ახლა როგორ თამაშობ?**

— წინა სეზონში მატჩში საშუალოდ 20,3 ქულას ვაკეთებდი, ახლა — 19,1. თუმც ამ სეზონში უფრო ზუსტი ვარ, სროლათა 75 პროცენტს ვაგდებ და ამ მაჩვენებლში ლიგაში პირველი მე ვარ.

**ირაკლი ბერტაია**



ვახტანგ ნაცვლიშვილმა თასის ფინალში თავი გამოიჩინა

**საქართველოს თასი 2003 რუსთავი. 3-8 თებერვალი**



| A ჯგუფი | B ჯგუფი |
|---|---|
| დინამო 86:98 სტუ | ბასკო 115:61 აკადემია |
| თსუ 121:46 სსუ | აზოტი 87:86 მაკაბი |



შესაძლოა, დავით უგრეხელიძემ (მარჯვნივ) ვლადიმერ ბოისა სლოვენიაში მარტო დატოვოს

*საქართველოს ნაკრებისა და ლიუბლიანური „სლოვანის“ 19 წლის ცენტრი დავით უგრეხელიძე მალე სერია A-ს კლუბის მიწვევით იტალიაში გაემგზავრება და თუ გასინჯვები წარმატებით ჩაივლის, კონტრაქტსაც გააფორმებს*

## ხეზე სამჯერ დავაკაკუნოთ
# უგრეხელიძე იტალიაში კარგ საქმეზე მიდის

უგრეხელიძე შარშან ზაფხულს ბერძნულ „პანიონიოსში“ ვარჯიშობდა, იქაურებს მოსწონდათ კიდეც ჩვენებური, მაგრამ, როგორც თავად კალათბურთელი ამბობს, ფინანსური საკითხის მოუგვარებლობის გამო „სლოვანში“ დაბრუნდა. თითქოს ყველაფერი კარგად იყო, ლიუბლიანელებმა დაგვიანებული გუნდელი პირზე კოცნით მიიღეს, მაგრამ დროებით. მცირე ხანში უგრეხელიძე სათადარიგოთა სკამს გაუშინაურდა, ხელფასს კი უგვიანებდნენ. „ცხადია, იმაზე იყვნენ ნაწყენები, ზაფხულში დაუკითხავად რომ წაველი „პანიონიოსში“. საბერძნეთიდან დაბრუნებულს კლუბის ხელმძღვანელობა ალმაცერად მიყურებდა, ცდილობდა, გავეწვალებინე.“

ამ არასახარბიელო ვითარებაში იტალიიდან სატელეფონო ზარი გაისმა, იტალიური წარმოშობის ამერიკელმა საკალათბურთო აგენტმა რობერტო რიჩიმ უგრეხელიძეს სერია A-ს იმ კლუბის ვარიანტი შესთავაზა, რომლის გამხელა დავითს ჯერ არ სურს: „წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. ზაფხულშიც დიდი იმედით წაველი საბერძნეთში, მაგრამ საბოლოოდ არაფერი გამოვიდა. ამჯერად არ ვიცი, რა როგორ იქნება, იტალიელებისგან ჯერჯერობით მხოლოდ მიწვევა მივიღე, დანარჩენს იქ ჩასვლის შემდეგ შევიტყობ. კლუბს ვერ გავამხელ, მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ევროლიგაში თამაშობს“.

აქვე შეგახსენებთ ევროლიგის იტალიურ კლუბებს: „ბენეტონი“, „სკიპერი“, „კინდერი“ და „სიენა“. ასე რომ, იტალიის ვიზას რომ აიღებს, უგრეხელიძე ამ ოთხიდან, რომელიმე კლუბში მივა და შეეცდება, იქაურებს თავი მოაწონოს. თუ ეს საქმე კონტრაქტის გაფორმებით დასრულდა, სლოვენიაში მობურთალთაგან მხოლოდ ვლადიმერ ბოისა დაგვრჩება. არადა, ორიოდ წლის წინ იქ ხუთი ჩვენებური თამაშობდა.

**ირაკლი სახოკიძე**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



AP სოლტ ლეიკ სიტიდან

„იუტას“ ძლევას ხარობენ დალასელები ნიკ ვან ექსელი, მაიკლ ფინლი და სტივ ნეში

# მაიამის კინაღამ ძაღლი ჩააკვდა

3 თებერვალი

**მაიამი 99:79 ატლანტა**

**მაიამი:** ბეისტი (6), ჯონსი (26), კ. ბატლერი (9), ალენი (8), გრანტი (11 ქულა, 14 მოხსნა); ელისი (16), ჯეიმსი (13), რ. ბატლერი (9), სტივენსი (20 წუთი, 2 ქულა, 8 მოხსნა)
**ატლანტა:** ტერი (13), გლოვერი (12), რობინსონი (12), აბდურ-რაჰიმი (19 ქულა, 10 მოხსნა), რეთლიფი (8); მუჰამედი (4), დიკაუ (3), ჯექსონი, ჰემი, ბენჯამინი

**იუტა 90:92 დალასი**

**იუტა:** ჰარპრინგი (20), მელოუნი (18)
**დალასი:** ნოვიცკი (25), ნეში (20), ფინლი (17)

**ნიუ ჯერსი 109:108 სიეტლი**

ძირითადი დრო 100:100
**ნიუ ჯერსი:** მარტინი (35 ქულა, 12 მოხსნა), კიდი (20 ქულა, 12 პასი)
**სიეტლი:** მეისონი (30), ლუისი (25)

**ნიუ ორლეანი 103:96 ბოსტონი**

**ნიუ ორლეანი:** მაშბურნი (30), ვესლი (18)
**ბოსტონი:** პირსი (27), უოლკერი (20), ბრემერი (20)

**ფინიქსი 115:111 ჩიკაგო**

ძირითადი დრო 105:105
**ფინიქსი:** მარბერი (36), მარიონი (36)
**ჩიკაგო:** როუზი (28), მარშალი (23)

**გოლდენ სტეიტი 101:91 მემფისი**

**გოლდენ სტეიტი:** მერფი (21), არენასი (21)
**მემფისი:** გასოლი (20), ბეტიე (16)

„მაიამი ჰითი“ საზოგადოდ განებივრებული არაა იოლი გამარჯვებებით, ან კი როგორ იქნება, როცა ამხელა ლიგაში მასზე სუსტი გუნდი იქნებ სამი-ოთხიც არ მოითვალოს. ამდენად ცოტა გაოცებას იწვევს მასზე წინძღვომი „ატლანტას“ 20 ქულით გაბითურება. მაგრამ ამაში არის ლოგიკის მარცვალი — „მაიამი“ ბოლო დღეებში ისეთ ტიტანებს ეჭიდავა და ზოგს თითქმის მოუგო, რომ ამათთან შედარებით ატლანტელი „ქორები“ ბუმბულის წონისად მოეჩვენა, აიტაცა და მიწაზე დაანარცხა.

შევნიშნოთ, რომ „მაიამის“ 1 იანვრის აქეთ არ მოეგო 10 და მეტქულიანი სხვაობით. მაშინაც მაიამელებმა „ატლანტას“ მოუგეს, თან ატლანტაშივე და საკმაოდ თვალსაჩინო — 34-ქულიანი სხვაობითაც. ერთი სიტყვით, დაიბრიყვეს ჯორჯიელები მეზობელმა ფლორიდელებმა.

„ისინი მთელი საღამოს განმავლობაში გვერდიდან არ მშორდებოდნენ, გამუდმებით ორი კაცი მედგა“ — დაიჩივლა დამარცხებულთა ლიდერმა გლენ რობინსონმა. „ქორებში“ ახლახან გარეული „დიდი ძაღლი“ (რობინსონის მეტსახელია) თამაშიდან თამაშამდე იმტკიცებს პირველი „ქორის“ სახელს და გუნდი სულ უფრო მეტად ხდება მასზე დამოკიდებული. ჰოდა, რაკი იმ შეხვედრაში რობინსონი ოდენ 12 ქულას გამოვიდა, „ჰოქსს“ შეტევაში თამაში აერია. არც სხვა ლიდერებს წარმოუჩენიათ თავი, ხოლო ატლანტელმა სამარქაფოებმა 15:39 წააგეს მაიამელთა სკამთან. აღსანიშნავია, რომ „მაიამის“ სათადარიგო ცენტრს, ჩვენი ყურადღების ცენტრში მყოფ ვლადიმერ სტეფანიას ამ მხრივ მოკრძალებული წვლილი მიუძღვის. მან ისევ ჩაავდო შეტევაში თამაში, ოთხი სროლიდან სამი ააცილა და „ჰითს“ სულ 2 ქულა მიაშველა. სამაგიეროდ, ვოვა დაცვაში ყოჩაღობდა. მან 216-სანტიმეტრიანი და 112-კილოგრამიანი ტან-ხელით საიმედოდ შეავსო „მაიამის“ კალათსქვეშა სივრცე და თავისიანთა შორის მოხსნებში მხოლოდ ბრაიან გრანტს ჩამორჩა.

ზედაძაბული ჯახი გაიმართა სოლტ ლეიკ სიტიში. ადგილობრივი და ზეგამოცდილი „იუტა ჯაზი“ ასოციაციის ნელ ლიდერს „დალასს მავერიკსს“ ხვდებოდა და მისი დაჩოქების სურვილით იწვოდა. მართალია, წლეულს „ჯაზმა“ ორივე წინა შეხვედრა მოუგო „დალასს“, რაც ამ გუნდისთვის არავის უკადრებია, მაგრამ იუტელები მათ სრულ განადგურებას ესწრაფვოდნენ. მათ ახლაც კი ახსოვთ 2001 წლის პლეი ოფი და მაშინ „დალასთან“ ძნელად დასავიწყებელი შეჯახება. „იუტა“ იმხანად ჯერაც ბობოქრობდა და ძალიან მტკივნეულად აღიქვა ახალწამოჩიტულ ტეხასურ გუნდთან პლეი ოფის პირველივე წრეში დამარცხება. ამ წაგორხილებამ „ჯაზი“ საბოლოოდ ჩამოაქვეითა საშუალოებში, ესე იგი თავისი ეპოქის უდიდესი კალათბურთელები — კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი ჩემპიონობის გარეშე დატოვა.

...გუშინწინ „იუტა“ ამარცხებდა „დალასს“, უკვე მესამედ ამ სეზონში, მაგრამ საქმეში ჩაერია სტუმართა სათადარიგო გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი. ამ ბუთხუზა, მაგრამ ცქვიტმა ვეტერანმა მატჩის დამთავრებამდე 13 წამით ადრე სამქულიანი ჩააგდო და „მავერიკსი“ 82:80 დააწინაურა. შურისძიება არ შედგა, იუტელმა მეტ ჰარპრინგმა ბოლო წამებზე ააცილა და თავისიანებს იმედი გაუცრუა.

**ირაკლი ფირცხალავა**



# სერენას საამსეზონო რეცეპტი: ცოტა ტურნირი და ბევრი ფული

*მიჯრით უკვე ოთხი სლემტიტულის მომგები სერენა უილიამსი იმავის გაკეთებას უკვე ერთ სეზონში გეგმავს, თუმცა ამბობს, რომ მისი მიზანი სულაც არ არის ყველა დროის უდიდეს მეჩოგნედ ქცევა*



სერენა უილიამსი და მისი სლემბიოგრაფია

სერენა: „ცხადია, მიზნად ახლა რეალური, საერთსეზონო დიდი სლემის მოგებას ვისახავ. ოღონდ ისიც კარგად ვიცი, რომ ამის შესრულება ძალიან ძნელია. სლემტურნირებზე ჩემთვის ყოველი მომდევნო მატჩი უფრო რთული ხდება, რაკილა ყველას ჩემი დამარცხება სურს, არავის არაფერი ისე არ უნდა, როგორც ჩემი დამცირება... მაგრამ მე მესმის მათი და მათ ადგილზე ალბათ მეც ასევე მოვიქცეოდი“.

„არ ვიცი, შემიძლია თუ არა იმის გამეორება, რაც, ვთქვათ, მორინ კონოლიმ, მარგარეტ კორტმა, შტეფი გრაფმა თუ მარტინა ნავრატილოვამ გააკეთეს... ისინი ძალზედ დიდხანს თამაშობდნენ, მე კი არ მინდა, კორტს ასე ბოლომდე შევრჩე... ჩემი სურვილი ისაა, ვისიამოვნო იმით, რასაც ყოველდღიურად ვაკეთებ. მე არ მინდა რეკორდების მსხვრევა... ყველა დროის უდიადესი რომ გავხდე, ალბათ 10 წელი კიდევ უნდა ვითამაშო, მე კი არა მგონია, ჩოგბურთს 31 წლამდე გავუძლო... ჩემი საამსეზონო სურვილები? ცოტა ტურნირი და ბევრი ფული!“.

# „გერმანულ მანქანას მხოლოდ დევისის თასი დამუხტავს“

## მიხაელ შტიხი ახალი თაობით იმედგაცრუებულია

რაინერ შიუტლერის მიერ ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გასვლა გერმანული მასმედიის სამთავარსათაურებო ამბად კი იქცა, მაგრამ როგორც უიმბლდონის 1991 წლის ჩემპიონი, მიხაელ შტიხი ვარაუდობს, გერმანელთა „გრძელვადიანი“ საჩოგბურთო ინტერესით დამუხტვა მხოლოდ მათი ნაკრების დევისთასზე წარმატებას შეუძლია.

„როცა ბორის ბეკერმა 1985-ში უიმბლდონი მოიგო, ჩვენთან ჩოგბურთის პოპულარობამ საოცრად იმატა — ამბობს შტიხი — მაგრამ ნამდვილი ბუმი, ჩემი აზრით, მაინც 1988-ში ჩვენს მიერ დევისთასის მოგების შემდეგ დაიწყო“.

ამ პარასკევ-უქმეებზე მსოფლიო ზეთექვსმეტეულის ნაკრებები წლევანდელი დევისთასის პირველ წრეში იპაექრებენ და გერმანელებს ბუენოს აირესში, არგენტინელებთან სტუმრობა მოელით. ტრავმირებულთა — ტომი ჰაასისა და ნიკოლას კიფერის არყოფნაში — მათ გუნდს სწორედ შიუტლერი უყოჩებს.

შტიხი: „დევისგუნდი ეროვნული ნაკრებია, შენ აქ შენი ქვეყნისთვის თამაშობ და ხალხიც თავის თავს ამ ნაკრებთან უფრო აიგივებს, ვიდრე ჩალიბად, მარტოჩოგნად მოთამაშე მეჩოგნესთან“.

დევისის თასი შტიხისთვის მხოლოდ თეორიულ განსჯათა საგანი სულაც არ გახლავთ. იმის გარდა, რომ იგი 1993 წლის ჩემპიონი გუნდის დამრტყმელ ძალას წარმოადგენდა, 2001 წლის ოქტომბრიდან შარშანდელ სექტემბრამდე გუნდის კაპიტანიც იყო.

ალბათ გახსოვთ, კაპიტნობა მან იმიტომ დათმო, რომ ჰაასმა და შიუტლერმა მის მიერ ვენესუელასთან საკვალიფიკაციო მატჩის წინ გუნდში ბორის ბეკერის უკუხმობა იუკადრისეს.

შტიხმა მაშინ თქვა, რომ არც მოთამაშეების და არც ფედერაციის მახვშთა მხრიდან მას მხარდაჭერა არ უგრძვნია.

გერმანულ ჩოგბურთში არსებულ მდგომარეობას 34 წლის შტიხი ახლაც კრიტიკულად აფასებს:

„ჩვენ კარგი მოთამაშეები გვყავს, მაგრამ მათ უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი საკმარისად კარგები არიან. ეს არც დევისგუნდს დაუმტკიცებია. ეს გუნდი ერთხელაც არ გასცილებია მეორე წრეს“.



მიხაელ შტიხისას გერმანელებს დევისის თასიც მოუგიათ

მართალია, მელბურნულმა გმირობათა შედეგად შიუტლერი მსოფლიო კლასიფიკაციის მე-16 საფეხურზე დამკვიდრდა, გერმანელთა ნაკრებს, რომლის შემადგენლობაშიც ასევე ლარს ბიურგსმიულერი, მიხაილ კოლმანი და დავიდ პრინოშილი არიან, ნიჭიერი გაუჩოების წინააღმდეგ ძალზედ გაუჭირდება.

დავიდ ნალბანდიანს, გილერმო კანიასს, გასტონ გაუდიოსა და ლუკას არნოლდს თავიანთი სიჩაუქის გარდა ნელი თიხნარკორტებისა და მოყიჟინე ლიანგის იმედიც ექნებათ.

შტიხი: „მე ვიცი, თუ რამხელა რამეს ნიშნავს ამ თასის მოგება. ეს ძალიან დიდი ამბავია... შეძლებს ჩვენი გუნდი ამის მიღწევას? ჰმ, მე ძალიან იმედგაცრუებული ვარ ბიჭებით... მათ ჯერ არაფერი დაუმტკიცებიათ — არც საკუთარი თავისთვის და არც ხალხისთვის“.

შეგახსენებთ, რომ დევისის თასი გერმანელებს სულ სამჯერ რგებიათ — 1993 წლამდე მათ 1988-89 წლებში იმარჯვეს.

**ლევან ძელაურაძე**

## რაგბი

# რუსების ბაბო ჩბა

*რუსეთის რაგბის კავშირმა რაგბის საერთაშორისო საბჭოში **(IRB)** აპელაცია შეიტანა. რუსები **IRB**-ის იმ გადაწყვეტილებას ასაჩივრებენ, რომლის თანახმად მსოფლიოს რაგბის მამებმა ჩვენი ჩრდილოელი მეზობლები მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირიდან მოკვეთეს და თან 75 ათასი გირვანქა სტერლინგითაც დააჯარიმეს. დასჯის მიზეზი კი ტომით სამხრეთაფრიკელი მორაგბეების — იოჰან ჰენდრიქსის, რენე ფოლხენკის და ვერნერ პიტერსის სანაკრებოდ გარუსებაა*

ამ სამეულმა შარშან რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. სამხრეთაფრიკელებმა რუსეთის ნაკრებში შარშანდელ ევროპის ერთა თასზე ითამაშეს, მერე კი მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირშიც იმონაწილეეს. მაშინ ჩვენგან ძლეულმა რუსეთმა შესარჩევი ტურნირი რეპეშაჟიდან (სანუგეშო ტურნირი) განაგრძო. რეპეშაჟის მეორე წრეში „დათვებმა" ორრაუნდიანი ბრძოლა მოუგეს ესპანეთს და შემდეგ ეტაპზე ტუნისს უნდა შებმოდნენ, მაგრამ ესპანეთმა IRB-ში იჩივლა, აქაოდა, იმ აფრიკელების რუსული წარმომავლობა ძალიან გვაეჭვებსო.

რაგბის საერთაშორისო საბჭოს დებულებით, მორაგბეს სხვა ქვეყნის ნაკრებში თამაშის უფლება მაშინ აქვს, თუ მშობლიურ ნაკრებში არ უთამაშია, ამასთან მისი ერთი წინაპარი მაინც იმ ქვეყნიდანაა, რომლის სახელითაც თამაშს აპირებს.

IRB მოსარჩელეს დაეთანხმა და რუსებს ჩაეძია, მაგრამ დათქმულ დროში პასუხი ვერ მიიღო. შედეგად რუსეთი დაისაჯა. ეგაა დასჯილებს ორკვირიანი ვადა მიეცათ განაჩენის გასასაჩივრებლად, რაც გააკეთეს კიდეც.

ახლა რუსეთის რაგბის კავშირის პრეზიდენტი იური ნიკოლაევი ირწმუნება, სამხრეთაფრიკელების აგენტმა უკვე მოგვაწოდა საბუთები, რომლის თანახმადაც ვერნერ პიტერსის და იოჰან ჰენდრიქსის ბებიები და რენე ფოლხენკის ბაბუა რუსები იყვნენო.

რუსები ხავსს ეჭიდებიან, რაკი ძალიან საეჭვოა, კონსერვატიულმა IRB-მ თავისივე გადაწყვეტილება შეცვალოს და რუსეთი მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში დააბრუნოს.

ჯერჯერობით ასეა: მსოფლიოს თასის შესარჩევ ტურნირში რუსეთი ესპანეთმა შეცვალა.

**ბაჩო სვანიძე**



[illegible] ფოტო

იური ნიკოლაევს ფოკუსი არ გამოუვიდა

## ჰოკეი

# ნუ აწყენებთ ხალხს!

## ბებერი რეალისტებისგან ჩამყაყებულ ცხოვრებას ახალგაზრდა იდეალისტები ახალისებენ

**ბებრებმა** უნდა მიიწ-მოიწიონ, ახალი თაობა მოდის. აბა, რას იფიქრებდნენ სახელგანთქმული იაგრი, ფორსბერგი, სელიანე და ბევრიც სხვა, ვინც შაბათ-კვირას ფლორიდაში გამართულ „ოლ სტარში" მონაწილეობდა, რომ 21 წლის ბიჭი მათ ყველას ჰოკეის თამაშს ასწავლიდა. კვირას ჩრდილოამერიკის ჰოკეის გარშემო საზოგადოებას ახალი კერპი გაუჩნდა. არც აქამდე იყო ჰიტლი უცნობი, ატლანტა ხომ დღესდღეობით თავს მისით და ილია კოვალჩუკით იწონებს. ორივე მხოლოდ მეორე სეზონს ატარებს ლიგაში, მაგრამ ამ ჭაბუკებმა უკვე დაამტკიცეს, რომ მათ გარშემო შეიძლება ძლიერი გუნდის ჩამოყალიბება. ამათგან თავიდან რუსი უფრო პერსპექტიული ჩანდა, ამ სეზონში კი ჰიტლი დაწინაურდა.

გუნდის გენერალურ მენეჯერ დონ უოდელის თქმით, ჰიტლი ისეთი მოთამაშეა, შეიძლება, ატლანტის კაპიტანი და მთავარი დასაყრდენი გახდეს. მაგრამ სად „თრეშერის" დარი გუნდის ლიდერობა და სად „ოლ სტარზე" თავის გამოჩენა. თვით უეინ გრეცკიც კი გაოცდა. მეორე პერიოდის შემდეგ „ლიადმა" თავად მიაკითხა დანის გასახდელში და მას რეკორდის დამხობა უსურვა.

„უეინი ერთი-ორჯერ მყავდა ნანახი, მაგრამ ვერასდროს ვიფიქრებდი, ჩემთან საუბარს თუ მოისურვებდა. მე ამით გაკვირვებული, თან ბედნიერი ვარ." — ამბობდა ჰიტლი. მთავარი ჰიტლის ოთხი გოლი როდია, თავიდათავი ის არის, რაც ამ ჭაბუკმა თავისი სერიოზული თამაშით აგრძნობინა ვარსკვლავებს — ხალხის მოტყუება არ შეიძლება და „ოლ სტარს" შოუ იმიტომ კი არ ჰქვია, რომ ვარსკვლავთა კრებულის ჰოლივუდური ღიმილი და ლამაზი ფიგურული სრიალი აჩვენო მაყურებელს. მთავარი თამაშია, რომელიც ბრძოლისა და ინტრიგის გარეშე ფარსად იქცევა.

დასავლეთის გუნდი რომ ერთი თავით მაღლა იდგა მეტოქეზე, კვირას ეს ნათლად ჩანდა, მაგრამ აღმოსავლეთში მოთამაშე დანიმ ძალ-ღონე არ დაზოგა და მატჩის ინტერესი ბოლომდე შეუნარჩუნა. ყმაწვილმა ატლანტელმა სამჯერ გაათანაბრა ისეთ სიტუაციაში, როცა დასავლეთს, სადაცაა ხელთ უნდა ეგდო თამაშის სადავეები. მისმა ჯიგრიანმა თამაშმა გამოაცოცხლა სახელოვანი მოთამაშეები და მესამე პერიოდსა და ოვერტაიმში ისინი, ისე ათამაშდნენ, რომ ერთმანეთს ამოსუნთქვის საშუალება არ მისცეს, მაყურებელმაც ნაღდი ჰოკეი იხილა.

უნდა გენახათ პოლ კარიას სახე, როცა ის ბულიტს ასრულებდა. თამაშის დროს ანაპაიმელმა ვარსკვლავმა უამრავი მომენტი გააცუდა, ამიტომაც ჩვეულებრივ მშვიდი კარია ისე გაწყო დარტყმისთვის, რომ პატრიკ ლალიმის კარის ბადე ლამის გახია. აი, მერე კი მისცა თავს გაღიმების უფლება.

ასეთი საქები საქმე გააკეთა დანი ჰიტლიმ, ამიერიდან „ოლ სტარი" იქნებ ყოველთვის ასე საინტერესოდ ჩატარდეს.

ნიშანდობლივია, რომ დასავლეთის გუნდშიც ყველაზე ახალგაზრდა, 20 წლის მარიან გაბორიკი გამოირჩა.



დანი ჰიტლი

# სადამის მადა სადამდე, სადამ?





**სანამ ათასი** ჯურის სათვალიან-დიპლომატიანი უცხოელი ექსპერტი ბაღდადის რძის პროდუქტების საწარმოში ბირთვულ და ქიმიურ იარაღს ეძებს, ერაყელმა ჟურნალისტებმა გამოკითხვისთვის მოიცალეს, რომელსაც გასული წლის საუკეთესო სპორტსმენი უნდა გამოევლინა.

რომელ ჭკუათმყოფელს მოუბრუნდებოდა ენა და ქვეყნის „მთავარ ულვაშას" არ დაასახელებდა? სრულიად ერაყმა საუკეთესოდ... სადამ ჰუსეინი მიიჩნია. სადამ ჰუსეინი ერაყის რჩეულია. კი მაგრამ, დასწყევლოს ალაჰმა, სპორტის რომელ სახეობას წარმოადგენს პრეზიდენტი? „ცკროსპორტზე" თხილამურებით სწრაფდაშვებაში არ მინახავს და ყვანჯმომარჯვებულს არც ნჰლ-ის „ოლ სტარში" უსრიალია. ცურვ აქლემების დოღში გამოიჩინა თავი? ერაყელმა ჟურნალისტებმა საკუთარი პრეზიდენტის სპორტსმენობისა უკეთ იციან, თუმცა სწრაფდამალვაში უბადლოა, ბოლო დროს კი ტაქტიკურადაც გამართულად თამაშობს ჯორჯ ბუშის ნერვებზე. თან დამატებულ წუთებზე დროის გაყვანაც ისწავლა.

სადამ ჰუსეინი საუკეთესოდ იმიტომ მიიჩნიეს, რომ იქაური გაზეთის აზრით: „პრეზიდენტი მუდმივად ზრუნავს ქვეყანაში სპორტის განვითარებაზე" და ეს სრულიად საკმარისია.

საუკეთესო მწვრთნელის ტიტული ერაყის საფეხბურთო ნაკრების თავკაცს, ადნან ჰამადს ერგო, ფეხბურთელისა — ჰაიდერ მაჰმუდს, ხოლო რჩეული კლუბი „ტალბა" გახდა, რომელმაც ყველაფერი მოიგო თუკი რამ მოსაგები იყო.

**შარლ ელ ჩაეძი**

## მთის თხილამურობა

### მსოფლიოს ჩემპიონატი

სენტ მორიცი (შვეიცარია)

# გარეთ თოვს და ქრის ქარი...

**დიდძალი** თოვლი მოვიდა შვეიცარიულ ალპებში, კოხტა დაბა სენტ მორიცში, სადაც, ეს დღეებია მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო სამთო თხილამურობაში. ცის ფეხად ჩამოსვლის და ძლიერი ქარის გამო ჩაფიქრებული მოთხილამურეები, გულშემატკივრები, თუ ოფიციალური პირები ბარე ორი საათი ელოდნენ გამოდარებას, მაგრამ თეთრ რისხვად მოვლენილი ტაროსი არაღა არ დაცხრა და სპორტსმენები იძულებულ შეიქნენ, ფერდობებზე ჩამოსრიალებაზე ფეხი აეღოთ. მათდა ბედად ისედაც შემჭიდროებულ კალენდარში 4 თებერვალი არაოფიციალურ დღედ იყო მონიშნული, ამ დღეს მხოლოდ ვარჯიში იგეგმებოდა და არა სამსოფლიოჩემპიონატო ოქრო-ვერცხლისთვის ქროლვა.

სენტ მორიცის ის ტრასა ამ დღეს მოთხილამურეებს რომ უნდა დაეჭიშნიკებინათ საკმაოდ ჩქაროსნულად ითვლება. ერთი მონაკვეთი ისეთი ციცაბოა, მოსრიალენი 140 კმ/სთ სიჩქარეს ავითარებენ. ჰოდა როცა თოვლის საფარის სისქე რამდენჯერმე აღემატება დასაშვებს და ფიფქების სქელ ფარდაში ორ მეტრში დასობილი ალამის ხისგან გარჩევა ჭირს, ცხადია, თავს არავინ გასწირავს, ერთი წავარჯიშების გულისთვის. ზიან ახლა სენტ მორიცის სასტუმროებში მოთხილამურეები, გულ-ღვიძლს ყავა-ჩაით ითბობენ და იმედოვნებენ, რომ ხვალ, 6 თებერვალს მაინც გამოიდარებს, როცა სწრაფდაშვებაში გაჯიბრებაა დანიშნული.

**ძოტე ყორშია**





REUTERS [illegible]

აი, რა დღეში ჩააგდო ქარბუქმა თოვლის მზვერავი ბაბუა



REUTERS ფრანკფურტიდან

# ნახტომი

შვედ სტეფან ჰოლმს არც პირველობა მოუგია და არც რეკორდი დაუმყარებია. უბრალოდ, მის ნახტომში ფოტოგრაფმა განსაკუთრებულება შენიშნა. შეჯიბრი კი გლაზგოს კელვინ ჰოლში მიმდინარეობს.



REUTERS გლაზგოდან

# ფრანცისკას ღიმილი

ფრანკფურტში დიდი საქველმოქმედო გალა გაიმართა და იქ თავი მოიყარეს ბიზნესის, გართობის, სპორტის ვარსკვლავებმა. იქ ყოფილა ცურვის ვარსკვლავი ფრანცისკა ვან ალმსიკი, რომელსაც გვარიანად დაუხვივნენ რეპორტიორები.

# მარცხი და ზეიმი



REUTERS ზაგრებიდან





REUTERS ლისაბონიდან

ლისაბონში ხომ დამთავრდა მსოფლიოს ჩემპიონატი ხელბურთში და ფინალში ხორვატებმა გერმანელებს სძლიეს. გერმანელთა გულგატეხილობა ცხადია და ძლიერ ჩამქდარი კლაუს შვარცერის იერიც ამას მოწმობს. სამაგიეროდ კი, ზაგრებში ახალგაზრდობამ ტანთ შემოიხია და სიხარულით შადრევნებსა და აუზებს მიეტანა ამ შუა ზამთარში. ხუმრობა ხომ არ არის, ხორვატები პირველად გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები.


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფიცხელაური
დირექტორი გიორგი ოქროპირიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტიტეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კოკა ისაკა-რიძე, მამუკა კვანტალიანი, ვაჟა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: [illegible]

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგუაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ღვვაძე, ფატი ღვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge